წელიწადი მესამე | ფასი 7 კაპ. | პარასკევი, 3 მარტი 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციისა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილით 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები უკან არ დაბრუნდება.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის აღრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი ... დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 49 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 49

გაზეთი „საქართველო" ყოველდღიური ... ღირს:
მთელის წლით—15 მ., ½ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
...
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო".

ღრმად დამწუხრებულნი ... ატყობინებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 27 ამ თებერვალს ... გარდაიცვალა ...
## ილია ივანეს ძე ქიმერიძე
... (3—553—3)

ღრმად დამწუხრებულნი ... ატყობინებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ამ 27 თებერვალს ... გარდაიცვალა ...
## ილია (ილუშა) ივანეს ძე ქიმერიძე
... 3 მარტს ... გამოსვენება დილის 10 საათზე, ... სახლი № 7.
(1—555—1)

მიიღება ხელის მოწერა
## სანდრო შანშიაშვილის თხზულებაზე
26 წიგნი გამოვა შემდეგის სიგრძით:

ლექსები.
1. ცხოვრების გზაზე,
2. ტრფობის ნაზი,
3. ...
4. ...
5. ...
6. ...
7. ...
8. საბავშვო იგავ-არაკები.

ლირიკული პოემები.
9. ...
10. ...
11. ლანდები,
12. ...
13. ...
14. ამირანი.

ეპიკურ-რომანტიული პოემა.
15. ...

დრამატიული პოემები.
16. ...
17. ...
18. ...
19. ...
20. ...
21. ...
22. ...

თარგმანი.
23. ფაუსტ გოთესი,
24. დონ-კარლოს შილერისა,
25. ...
26. ...

ხელის მომწერლისთვის ყველა წიგნები ღირს 15 მანეთად.
ფულის გადახდა შეიძლება სამ წაჯადად. პირველად 5 მან.,—მიიღებენ ათს წიგნს; მეორედ 5 მან.,—მიიღებენ კიდევ ათს წიგნს და მესამედ 5 მან. დანარჩენ წიგნებისათვის.

ვინც ოცს ხელისმომწერს იშოვნის, ყველა წიგნები უფასოდ დაეთმობა. ბიბლიოთეკებს ყველა წიგნები თუჩნად დაეთმობათ.

**მთავარი მისამართები თბილისში:** წ.-კითხვის საზოგადოება, სასახლის ქუჩა—ვასილ ედილაშვილი; მოსკოვის ქუჩა № 4 „საქართველოს" რედაქცია; ნიკოლოზის ქუჩა № 7—სანდრო შანშიაშვილი და „სახ. ფურცლის" კანტორა. ხელის მომწერის ადრესი, სახელი და გვარი გარკვევით უნდა იქმნეს აღნიშნული.

(601—2) გამომცემელი **ნარდონი.**

# განცხადება

ვთხოვ უმორჩილესად ჩვენი ადგილების მყიდველთ

## საგურთალოზე „დიდი ნავენახარში",

რომ ამ ერთი თვის განმავლობაში დღეის რიცხვიდან გაწმინდონ ანგარიშები და დაიმტკიცონ კიდეც ადგილები.

ფული შემოიტანონ თბილისის საზეურნეო ბანკში, სადაც ჩემი კაცი მიიღებს და დამტკიცებს შარათს გადასცემს ნატარიუს ქართველოვს.

ფული მიიღება ყოველდღე 10—1 საათამდე, გარდა უქმეებისა. ვინც ამ ვადაში არ წარმო დგენს მთელ ფულს, რაცა ღირის მის მიერ დაზევებული სამოსახლო, ის მით პირობას არღვევს თანახმად ჩვენის პირველ განცხადებისა.

ვექილი თავის მამის ივანე ზაალის ძე სვ ნიშვილისა

**აკაკი ხვანიშვილი.**

(10—598—2)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

**პარასკევს, 3 მარტს,**

შ. შაუშევის რეჟისორობით გაიმართება

## რუსული წარმოდგენა

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა

**სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

(1—605—1)

# შაბიამანი

და

## საჭმლისათვის ღვინისქვის სიმჟავე

**ისყიდება**

„კავკასიაში ტეხნო-ქიმიურ წარმოებათა ამხხნაგობაში".

**თბილისი, დიდუბე, ქუთაისის ქ. 2.**

5—538—4)

## გაზეთ „საქართველო"-ზე

## ხელის მოწერა მიიღება:

**თბილისში**—ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ ვას. ედილაშვილთან.
**ქუთაისში**— 1) ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში",
2) საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში ბ-ნ. რ. დათეშიძესთან, ბ-ნ ი. პურადაშვილთან,
3) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ბ-ნ პ. გელაშვილთან.
**ბათომში** — ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში", ბ-ნ მგალობლიშვილთან და ექ. მარუაშვილთან.
**ხონში** — მ. ჰავჰანიძის წიგნის მაღაზიაში.
**სამტრედიაში** პორფილე ჰეიშვილთან.
**ჭიათურაში**—გალაქტიონ ქავთარაძესთან.
**ბაქოში** — ძმათა ბოსტალანიშვილების ავეჯეულობის მაღაზიაში და ალექს. სიმ. ლორთქიფანიძესთან (კრასნოვოდსკაია ქუჩა № 10. ტელეფონი 47—90).
**გორში** — ძმათა რომანიშვილების მაღაზიაში.
**ზუგდიდში**— ბ-ნ პეტრე ქეიდიასთან (შემნახველ-გამსესხ. ამხანაგობაში)
**მახხაანში**—ალექსანდრე ვასილის ძე ნადირაძესთან.

ექიმი კბილისა
## ე. ივ. გალაჯაშვილი-მათეშვილისა
**იღებს ავადმყოფებს:**
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
## მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
## ივანე თიკანაძე
**დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.**
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმკა
## ბ. მ. მუხაძე
**იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ**
საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
**მისამართი:** დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
## ახალი აფთიაქი
**პროვიზორის აბზიანიძისა**

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი
## ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოხკოვის ხახაზინო ხაავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი,** სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

**ერლიხის „914" და „606"**
**შეშხაპუნება**

ექიმი
## ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
**მისამართი:** პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
## გ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზელინსკის ქ. № 4. ( თ.—202—)

ექიმი
## მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

**დოქტორი მედიცინისა**
შოთა ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
**უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.**
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 8.**

## 27 თებერვალი, შუაღამე

მთავრობასა და სათათბიროს შორის ატეხილ ბრძოლის პირველი ეტაპი დასრულდა არსებული მთავრობა სათათბირომ უარჰყო და ჩამოაგდო. მისი ადგილი დაიჭირა საგანგებოდ შემდგარმა აღმასრულებელმა კომიტეტმა. კომიტეტში შედიან სათათბიროს სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები, სულ თორმეტი კაცი: **როძიანკო**—სათათბიროს თავმჯდომარე, ოქტომბრისტ-ერობისტი, **კერენსკი**—შრომის ჯგუფისა, **ჩხეიძე**—სოციალდემოკრატი, **შულგინი**—მემარცხენე ნაციონალისტი, **მილიუკოვი**—კადეტი, **კარაულოვი**—კადეტი, **კონოვალოვი**—პროგრესისტი, **დმიტრიუკოვი**—მემარცხენე პროგრესისტი, **რჟევსკი**—პროგრესისტი, **შიდლოვსკი**—ოქტომბრისტი, **ნეკრასოვი**—სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგი, კადეტი და **ლვოვი**—პროგრესისტი. ეს აღმასრულებელი კომიტეტი, სახელმწიფოს თავდაცვის სამინისტროა, გამარჯვებამდე ომის განგრძობის დარწმუნებული მომხრე. მისი წევრებია რუსეთის წარმომადგენლობის საუკეთესო ბელადები. რუსეთის სახელმწიფოს გარდატეხვის მეტად მნიშვნელოვანი აქტია ეს აქტი. შედეგები მისი, განუზომელი და გაუთვალისწინებელია.

ცნობები არ არის, თუ ძველი უარყოფილი მთავრობა რა გზას დაადგა, რა პირობებში მოხდა მისი კაპიტულიაცია, დაჰყარა თუ არა იარაღი.

არ ვიცით, ხმელეთის ჯარი და ფლოტი ამ ამბავს როგორ შეხვდება. არ ვიცით, რა სულიერი განწყობილებაა სატახტო ქალაქში, რა მღელვარებაა იქაურ ფართე წრეში, ხალხში. ცხადია მხოლოდ, რომ რუსეთის სხეული შეტორტმანდა და ჰაერში ავარდა. არ ვიცით, რომელ მხარეზე დაეცემა, ან რომელ თეძოზე წამოწვება.

რუსეთის ახლო მომავალში კითხვის ნიშნების გაუვალი ტყე-ლა მოსჩანს.

ბრძოლის სიბასრე და ულმობელობა, მსხვერპლთა სიმრავლე თუ სიცოტავე, სულერთიანად დამოკიდებულია შეხლილ ძალთა ცხოველმყოფელობაზე.

მომხდარი აქტის ამბავი იმპერიის ყოველ კუთხეს დაუვლის. ჩვენც გადმოგვეცა იგი. აფრთოვანებული და ატაცებული ხალხი ვართ. გვიყვარს ხანჯლებით ცეკვა და გატენილ დამბაჩის ათამაშება ხელში. ბნელით მოცულ სივრცეში გზის მაჩვენებელი ვარსკვლავები გველანდება. გამოუცნობთან და სახიფათოსთან გახუმრების დრო არ არის. ბევრი წაგვიგია ამ გზით. ჩვენი ქვეყნის ბედი, მისი აწმყო და მომავალი ყოველი ქართველის საღსა და აწონილ-დაწონილ ნაბიჯსა და მოქმედებაზე ჰკიდია. განვიცადოთ ეს დიადი პასუხისმგებლობა საყვარელ სამშობლოს წინაშე. განვიცადოთ და განვდიდდეთ. ქართველობამ მოვიკრიფოთ ნათელი გონივრობა და საღი გრძნობა. სერიოზული, დინჯი და დარბაისელი იყოს ჩვენი პასუხი

**ს. კედია.**

# აღმასრულებელი კომიტეტი

(დეპ. პეტ. სააგ.)

## პეტროგრადი 1 მარტი. თებერვლის 27-ს შუაღამისას საბოლოოდ შესდგა სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი, შემდეგის შემადგენლობით: როძიანკო, კერენსკი, ჩხეიძე, შულგინი, მილიუკოვი, კარაულოვი, კონოვალოვი, დმიტრიუკოვი, რჟევსკი, შიდლოვსკი, ნეკრასოვი, ლვოვი.

## პეტროგრადის ამბები

### დეპუტატები მინისტრთან

თავრიდის სასახლეში მიწათმოქმედების მინისტრ ა. ა. რიტტიხთან სათათბიროს გლეხი-დეპუტატები სადარბაზოდ იყვნენ. მათ მტკიცედ მოითხოვეს გადაჭრილი ფასები დასტოვოს ახალ მოსავლამდე და ასეთივე ფასები დაედოს სოფლისათვის საჭირო ყველა ნივთსა. ამასთანავე მოითხოვეს გლეხთა მოქალაქობრივ უფლებათა გაფართოვება და საოლქო კომიტეტების დაარსება. მინისტრმა უპასუხა: არც საპოლიტიკო და არც სამოქალაქო უფლებათა მონიჭება ჩემს ხელთ არ არის. მინისტრმა დაბოლოს უთხრა, თქვენი განცხადება წერილობით შემოიტანეთო.

### კომიტეტის დატუსაღება

სამხედრო-სასურსათო კომიტეტის მთავარ კომიტეტი სხდომის დროს დაატუსაღეს. სხდომაზე იყვნენ სავადვადმყოფო კასების კოოპერატივების და მუშების წარმომადგენლნი. კრებას თავმჯდომარეობდა სამხედრო-სასურსათო კომიტეტის მუშათა ჯგუფის წევრი ანოსოვსკი. კომიტეტის დატუსაღების გამო ა. ი. შინგარევი პრემიერ-მინისტრს თ-დ გოლიცინთან იყო, ხოლო როძიანკო სამხედრო მინისტრ ბელიაევთან. როგორც ვიცით კომიტეტის წევრები არ გაუნთავისუფლებიათ. რა შედეგი მოჰყვა ამას, ჯერ არ ვიცით.

### ჯარების უფროსის განცხადება

პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსმა გენერალმა ხაბალოვმა ბრძანება გასცა: პეტროგრადის ქუჩებში უკანასკნელ დროს უწესოებანი ხდება, ჯარისკაცების და პოლიციელების სიცოცხლე ხშირად საფრთხეში ვარდება. ამისათვის ქუჩებში ხალხის მცირე შეჯგუფებაც კი სასტიკად იკრძალება. ხალხი პოლიციის პირველმოთხოვნილებისათანავე უნდა დაიშალოს. ჯარს ნაბრძანები აქვს, ურჩობის გაწევის დროს, იარაღს მიმართოს.

### საგანგებო კრება

შუაღამემდე გაგრძელდა საგანგებო თათბირი სამხედრო პირთა და პეტროგრადის ქალაქის საბჭოს წევრთ. დადგენილებანი არ გამოუქვეყნებიათ.

### სახელმწიფო საბჭოში

მარინეს სასახლეში, თ-დ გალიცინის თავმჯდომარეობით საგანგებო სხდომა მოხდა სახელმწიფო საბჭოსი. სახ. სათათბიროს თავმჯდომარემ მ. ვ. როძიანკომ განაცხადა: სანოვაგის საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ქალაქის თვითმართველობათ და ხალხის ნდობით აღჭურვილ ორგანიზაციებსაც.

მთავრობამ უნდა შესცვალოს საშინაო პოლიტიკა, გასაქანი უნდა მისცეს პრესას, რათა გაზეთებმა ხალხი დაამშვიდონო. რიტტიხმა და სხვა მინისტრებმა თანხმობა განაცხადეს, რათა სასურსათო საქმე ქალაქებს გადაეცეს. ნ. ვ. ნეკრასოვმა განაცხადა: რაკი გარემოების გავლენით მთავრობა თანახმაა ეს საქმე ქალაქებს გადასცეს, საჭიროა შესაფერი საკანონმდებლო აქტი მოხდეს, თორემ გარემოების შეცვლისათანავე მთავრობა ამ უფლებებს უკანვე წაიღებსო. გადაწყდა, შესაფერი კანონ-პროექტი სწრაფად მიეღოთ.

## საგანგებო კრება

კადეტების, პროგრესისტების და ერობის მომხრე ოქტომბრისტების საგანგებო კრება მოხდა პეტროგრადის ამბების გამო.

## როძიანკოს დეპეშა

სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო მინისტრებთან მოლაპარაკების შემდეგ სათათბიროში დაბრუნდა და მინისტრების საუბრიდან გამოტანილი შთაბეჭდილებანი დეპუტატებს გაუზიარა. მან, სხვათა შორის, დიდ მნიშვნელოვანი დეპეშაც დაგზავნა.

## სათათბიროში

სათათბირო ნამდვილ ღერძად იქცა, რომლის გარშემოც ტრიალებს მთელი პეტროგრადი. ყოველი მომხდარი ამბავი, თუ ხმა უპირველესად სათათბიროს დარბაზისაკენ მიჰქრის. 26 თებერვალს, უქმის მიუხედავად, სათათბიროს კულუარებში აუარებელი დეპუტატები იყვნენ. ყველა აფორიაქებული და რიღაცის მოლოდინშია.

## ბრძოლის ველზე

გუშინდელ სააგენტომ მხოლოდ სამი ცნობა გადმოგვცა. ორი ქ. პარიზიდან და ერთიც პეტროგრადიდან. მთავარ შტაბის ოფიციალი დეპეშა და საზოგადოთ ბრძოლის ველის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა. რუსეთის საზოგადო აზრი, როგორცა სჩანს, სულ შინაურ მდგომარეობისკენაა მიქცეული და ბრძოლის ასპარეზს ყურადღებას არ აქცევენ. ამ ორ დღეში კერძო პირების მიერ ჭარბად გავრცელებულ ხმებში, მართალი გამოდგა მხოლოდ ერთი: სახელმწიფო სათათბიროს აურჩევია აღმასრულებელი კომიტეტი, სადაც თითქმის ყველა პარტიის ცნობილი ლიდერები შედიან, რა მოხდა, ან რა ხდება პეტროგრადში მას შემდეგ, რაც სახელმწიფო სათათბირო და საბჭო დაითხოვეს და უკანასკნელმა კი აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნებით უპასუხა ოფიციალურ მთავრობას, ამაზე მეტი არავინ არაფერი იცის. ეს კია მართალი, ბრძოლის ველი საჩქაროთ მოითხოვს სახელმწიფოში სიმშვიდეს, გულდასმით შრომას და ძალების საზოგადოებრივ ორგანიზაციას. არც ერთის წამით დახანებას და უთანხმოებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ სახელმწიფოში, რომელიც თავგანწირულად სამშობლოს დასაცავად იბრძვის და თავის საკუთარ მამულიშვილებს სასიკვდილოდ არ იშურებს საბოლოო გამარჯვებისათვის. მოპირდაპირე ჯერაც გაალმასებული, ძლევამოსილად შემოჭრილია რუსეთის მიწა-წყალში, მისი ჭკუა და გონება, უნარი და ორგანიზაცია ადვილად ისარგებლებს ჟამთა ვითარებით და ფართო ოპერაციით შეეცდება უპასუხოს რუსეთის საზოგადოებას მაშინ, როდესაც იგი თავის წესწყობილების მოწყობაში იქნება გართული. ისტორიულმა ხანამ პიროვნების სიფაქიზის და მამულიშვილურ სიყვარულის დროშა უნდა აღმართოს. განურჩევლად კლასობრივ მიდრეკილებისა ერთის გულის ცემით, და ერთის სულისკვეთებით უნდა ესწრაფოდეს მომენტის საკითხების გადაწყვეტას. დიდია მოვალეობა მამულის წინაშე. ვისაც სამშობლო სწამს, ვალია მისი არა აფორიაქებული, არა აღზნებული, გატაცებულ გრძნობათა ლტოლვით ირკვევდეს თავის დანიშნულებას, არამედ სიდინჯით, გონიერ აწონ-დაწონით, დარბაისლურ დაკვირვებით უნდა სწონავდეს აწმყოს და მომავლის განსამტკიცებელ ნიადაგზე აშენებდეს თავის შრომას და მოქმედებას. რუსეთის ბრძოლის ასპარეზი ერთი უდიდესი მთავარი ასპარეზთაგანია დღევანდელ მსოფლიო ომში. გამარჯვების საკითხი არსებითად სწორედ აქ უნდა გადასწყდეს. რუსეთის ჩამოშორება—გერმანეთის გამარჯვებაა. ვერც ერთი მოკავშირე მოპირდაპირის იმდენ ჯარს ვერ აბანდებს, როგორც რუსეთი. წარმოიდგინეთ, რა მოუვა საფრანგეთს, რომ აღმოსავლეთის ასპარეზზე დაბანაკებული გერმანეთის ჯარი განთავისუფლდეს და მის წინააღმდეგ გაილაშქროს! მაშინ საფრანგეთის დამარცხება აუცილებელი იქნება. მაშასადამე, რუსეთის მოწინავე საზოგადოების ვალია ამ გარემოებას ანგარიში გაუწიოს და თავისი მოქმედება ყოველთვის და ყოველჟამს ამ საპასუხისმგებლო მომენტს შეგნებულად ემსახუროს.

X.

P. S. გუშინ ნაგვიანევად გამოცხადდა თბილისში მთავარსარდლის შტაბის ცნობა, მაგრამ განსაკუთრებული რამ ცნობა არ გადმოუცია. X.

## ომის დეპეშები

2 მარტი

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ბარზეჟანის სამხრეთ-დასავლეთით სტავენტიკ-სვისტელნიკის მიდამოებში, 28 თებერვალს ღამე მოპირდაპირემ ჩვენს სანგრებს და შემოუტიეს და სანგრების ნაწილი დაიპყრეს, მაგრამ სამაგიერო იერიშით მოპირდაპირე დიდად დაზარალებული თავისავე სანგრებში მივაბრუნეთ. რაძვილოვის სადგურზე მტრის საფრენებიდან 60 ყუმბარა ჩამოჰყარეს.

**რუმინეთის ასპარეზზე** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ასპარეზი.** საკიზის მიმართულებით ჩვენი ჯარი, ოსმალების დევნის დროს ბანს უახლოვდება. ქამადანის მიმართულებით, ორი დღის ცხარე ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა ქ. ქერმანშაჰი აიღო. ოსმალების დევნა გრძელდება.

## უკანასკნელი ცნობები

**მოსკოვის ქალაქის უფროსმა გამოაცხადა: მარტში სულზე სამ-სამი გირვანქის მაგიერ მხოლოდ თითო-გირვანქა შაქარი გაიცემა, რადგანაც სათბობის უქონლობის გამო შაქრის ქარხნები დაიკეტა.**

## ახალი ამბავი

**შუამდგომლობა.** გუშინ, 2 მარტს, ნაშუადღევს 2½ საათზე მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორთან ბ-ნ ისტომინთან იყვნენ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტი თავ. მ. ა. სუმბათაშვილი, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრი ვ. ი. რცხილაძე და ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგე ბ-ნი შემეტოვი და სთხოვეს იშუამდგომლოს მეფის ნაცვლის წინაშე, რომ კოოპერატივების სამს მოსამსახურეს მაინც—თავმჯდომარეს, მოანგარიშეს და სავაჭრო საქმეების გამგეს—ჯარში გაწვევის ვადა გაუგრძელდესო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, კოოპერატივები საქმის წარმოებას ვერ მოახერხებენ და ხალხს მოაკლდება ეს ფრიად საჭირო დაწესებულებანიო.

**ტრამვაის მოსამსახურეებმა** შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე გადათვალიერებულ და შეცვლილ იქნეს ქალაქის საბჭოს უკანასკნელი დადგენილება მათ შესახებ. როგორც ვიცით, ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ 100,000 მანეთი გადაიდვას ტრამვაის მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მოსამატებლად, მაგრამ მოსამსახურენი ამით არ დაკმაყოფილებულან და თხოულობენ, რომ მათი შუამდგომლობა უკლებლად დაკმაყოფილდეს, ე. ი. 625 ათასი მანეთი გადაიდვას. თხოვნის დაკმაყოფილებას უკანასკნელ ვადად მოსამსახურენი ასახელებენ 15 მარტს.

**უპურობა.** ამ ჟამად ქალაქში დიდი უპურობაა; ხალხი ქალაქის დუქნებთან დილიდან საღამომდე დგას რიგში და შინ მაინც ცარიელი ბრუნდება.

**ლექცია.** ამ დღეებში თბილისში ჩამოვა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი პოგოდინი და წაიკითხავს ორ ლექციას პოლონეთის და სომხეთის საკითხზე.

**ყალბი ფული.** თბილისში გაჩნდა ბევრი ყალბი ათ შაურიანი ქაღალდის ფული.

**ავტომობილების დაჯახება.** გუშინ დილის ათ საათზე სასახლის პირდაპირ ორი ავტომობილი დაეჯახა ერთმანეთს. ორივე საგრძნობლად დაზიანდა. ზარალი 6000 მანეთისაა.

**„პირველი ნაბიჯი“.** ყოველკვირეული მუშათა ჟურნალი,—„პირველი ნაბიჯი“, რომელიც დროებით შეჩერებული იყო—5 მარტიდან იწყებს სისტემატიურად გამოსვლას.

**დაჭრა.** 25 თებერვალს ელისაბედის ქუჩაზე ნიკოლოზ ლეშტაევმა ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დასჭრა ვასილ ბოლდაროვი.

**დახმარება სამღვდელოებას.** უწმ. სინოდმა 87,000 მანეთი გადასდო საქართველოს საექსარხოსოს სამღვდელოების დამატებითად დასახმარებლად. სასინოდო კანტორამ უკვე მიიღო ეს ფული.

**ხარჯთამრიცხვი ინსპექტორი** ნ. წერეთელი თბ. 1 ნაწილის სახარჯთამრიცხვო ნაწილის ინსპექტორად დანიშნეს.

**ძვირფასი შეწირულება.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა ბ-ნმა ად. ფორაქიშვილმა ძვირფასი პორტრეტი დავ. სარაჯიშვილისა, ას თუმნამდე ღირებული.

**შავი სახადი** მეტად საშიშარ ხასიათს ღებულობს თბილისში. ამ დღეებში ამ სენით გარდაიცვალა ლაზარევის № 23 ექიმი ა. ნ. ლისხოვი და სენის ნიშნებით ავად გახდნენ განმანაწილებელ პუნქტის ექიმები ტერ-აკოფოვი და სმირიაგინა.

**ნადიროვისეული მამული.** მკითხველებს მოაგონდებათ, რომ თავ. ამატუნის ადგილები, წმ. ნინოს სასაფლაოსა და არსენალის შუა, მემკვიდრეობით დარჩა ნადიროვის ქალს, რომელმაც ნაწილი ამ ადგილებისა უანდერძა ეჩმიაძინის მონასტერს, ხოლო დანარჩენი ხრიოკი და მიუდგომელი ადგილები ხუთასამდე უსახლკარო ღარიბმა ხელმა გასწმინდა, გაასწორა და ჩასახლდა მემამულესთან იმ შეთანხმების თანახმად, რომ ეს ადგილები გამოსყიდულ იქნებოდა მეპატრონეთგან შემდეგში, მაშინდელ ღირებულობის კვალობაზე. ნადიროვის სიცოცხლეში დასახლებულებმა ადგილების გამოსყიდვა ვერ მოასწრეს. გარდაცვალებულის ანდერძის აღმასრულებლებმა, შემდეგ გამდიდრებისა, მადა გაეღვიძათ, ადგილების ფასები ასწიეს და მოითხოვეს აყრა ამოდენა ხალხისა, თუ დადებულ ფასს არ გადაიხდიდნენ. ანდერძის აღმსრულებელმა არტემ ნადიროვმა და სხვ. თავიანთი ვექილის ლევან შავერდიანცის მეთაურობით აღძრეს საჩივარი სასამართლოში ამ ადგილებიდან ამოდენა ხალხის აყრის შესახებ. ათ წელზე მეტია ეს საქმე სასამართლოს ინსტანციებში ირჩევა. წარსულ 1916 წლის დეკემბერს სენატმა მეპატრონეთა სასარგებლოდ გადასწყვიტა და ამ დღეებში ვექილმა შავერდიანცმა აღმასრულებელი ფურცლები გადასცა სასამართლოს მოქაულს და მოსთხოვა დანგრევა მოსახლეთა ცხოვრებისა და მათი ამ ადგილებიდან აყრა-აბარგვისა. საქმე დიდად გამწვავებულია და თუ საზოგადოება, ამ საწყალ ხალხის თანამგრძნობელი, საქმეში არ ჩაერია და დავა მორიგებით არ დასრულდა, დიდი უბედურება მოელის ამოდენა ხალხს, რადგანაც ოცის წლობით ნაშენი ერთს საათში უნდა მიინგრ-მოინგრეს.

**„ძმური ნუგეში“**ს ხაზინის, რომელიც თბ. ქართველ ქალთა საზოგადოებას ეკუთვნის, 1916 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია ვაჭრობით, შეწირულებით და ყულაბებით—45,647 მან 9 კაპ. ამ ფულიდან დახარჯულია: სანოვაგეზე 22,225 მან. 83 კაპ., სახლის ქირაზე—3,000 მან., განათებაზე—423 მან. 15 კაპ., მოსამსახურეთა ჯამაგირებზე—1,195 მან, მუსიკაზე—2,304 მან., ფანჯრების გასუფთავებაზე—42 მ., მოსამსახურეთა სადილზე—500 მ., სარეცხზე—568 მ. 50 კაპ. და ინვენტარზე—700 მანეთი, სულ 30,968 მან. 49 კაპ. წმინდა მოგება დარჩენია 14,678 მან. 61 კაპ.

**შეპყრობა.** პოლიციამ შეიპყრო დეზერტირები: მათე რიცკინოვი, თეოდორე მარისოვი, ბარცენ ბეგალოვი და ლავრენტი ნეფარიძე; მეორე ხარისხის მოლაშქრენი, რომელნიც არ გამოცხადდნენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად: გარსევან პირუზიანცი, ნიკოლოზ ბაიაძე და იოსებ ენუქიძე. შეიპყრო პოლიციამ აგრეთვე 41 უპასპორტო, რომელთა შორის სამი დეზერტირი აღმოჩნდა.

**ქალაქის თვითმართველობის** სასკოლო კომისიამ სასურველად სცნო მოწვეულ იქმნას საქალაქო სკოლებისათვის მესამე ექიმი. ამას გარდა კომისიამ დაავალა თავის წევრებს ს. ხუნდაძეს და მ. ზარგარიანს შეიმუშაონ ხარჯთაღრიცხვა საქალაქო სკოლებში ფიზიკურ ვარჯიშობის მოსაწყობად.

**ბაზარი.** ყოველგვარ სანოვაგის ფასები საარაკოდ გადიდდა თბილისში. გირვანქა ძროხის ხორცი 1 მანეთზე ნაკლებ არ იშოვება. ქათამი 6 მანეთამდე ფასობს. მუშის ოდენა ბატკანი, რომელსაც 4—5 გირვანქა ხორცი არ გამოუვა, 10—12 მან. ფასობს. ბევრი ფრიად საჭირო სანოვაგე სრულებით არ იშოვება.

**მერძევეობის პრაქტიკულ კურსების** მსმენელებმა 27 თებერვალს დაათვალიერეს ქალაქის სასაკლაო, განმარტებას აძლევდა მათ ბეითალი ოგანჯანოვი. შაბათს, 4 მარტს, კურსებზე ლექციას წაიკითხავს ბეითლობის შესახებ იგივე ბ-ნი ოგანჯანოვი.

**ქურდობა.** 27 თებერვალს, მარკარ **დუმაიანცს** გაუტეხეს დუქანი და წაიღეს 200 მანეთის საქონელი. 25 თებერვალს გოლოვინის პროსპექტზე მარიამ **ბაირამოვის** ქალს მოჰპარეს საკუთარ ბინაზე 50 მ. და 14 მანეთის ნივთეულობა. ამის გამო შეიპყრეს დეზერტირი მესროპ ხუდაგოროლოვი. 26 თებერვალს ახალ ბაზარზე ეგვარდ მურადიანცმა ჯიბიდან 40 მ. და 55 კ. ამოართვა მიკირტიჩ **ხიმონიანცს**, ეგვარდ მურადიანცი პოლიციამ შეიპყრო, 25 თებერვალს ივანე უმიკოვის ოქრო-ვერცხლეულობის მაღაზიაში 70 მანეთის ნივთები მოიპარა ისხაკ მაღკაპეშვილმა; ქურდი პოლიციამ შეიპყრო. 27 თებერვალს წილკანის ქუჩაზე სოფიო შერმაზანაშვილის ქალს მოჰპარეს 200 მანეთი და 185 მანეთის ნივთეულობა, იმავე დღეს მინკვიცევის ქუჩაზე მცხოვრებ მარიამ ნევზაროვის ქალს საკუთარ ბინაზე მოჰპარეს 355 მანეთის ნივთეულობა. 25 თებერვალს კლასიკურ ქუჩაზე გიორგი ზურაბიშვილს მოჰპარეს 400 მანეთის ნივთეულობა. 27 თებერვალს ილია დურგლიშვილის ღვინის საწყობი გასტეხეს და მოიპარეს 2,100 მანეთის ზანდეროლი. 27 თებერვალს კიროჩნის ქუჩაზე საფართლო მაღაზია გაუტეხეს ტატევოს ძიძიევს და გრიგორ ავაქოვს, წაიღეს 517 მანეთი და 653 მანეთის საქონელი.

### ქუთაისი.

ქუთაისის სამაზრო სათავად-აზნაურო მარშალმა ლ. ნიჟარაძემ შემდეგი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა პეტროგრადში თ-დს ივ. ალ. ნაკაშიძეს: „ქართული თავადაზნაურობა ქუთაისის გუბერნიისა საფუძვლიანის სიამაყით აღნიშნავს დღეს თქვენს ორმოცი წლის მოღვაწეობას სახელმწიფოს იმ დიდათ მნიშვნელოვან დაწესებულებაში, როგორიცაა რუსეთის წითელის ჯვრის საზოგადოება. ამაგი, რომელიც თქვენმა ბრწყინვალებამ დასდეთ, როგორც ამ საზოგადოებას, ისე თქვენს თანამემამულეთ, თქვენის მამულის საქართველოს მთელს ძეთა აღავსებს უსაზღვრო სიხარულითა, თქვენდამი ღრმა პატივცემითა და გულწრფელ მადლობის გრძნობითა. ქართველი მოსწავლე ახალგაზდობა, რომელიც სწავლის დაწყებისათანავე თქვენში ჰპოვებდა თავისს ერთგულ მფარველს, ძვირფასს იუბილიარს გიგზავნისთ თვის წმინდა მამაშვილურის მზრუნველობისათვის გულითადს მადლობას და ყოვლის სიკეთის ნატვრას. ღმერთმა დიდს ხანს გაცოცხლოსთ, ძვირფასო თავადო, თქვენის მშობელ ერის სადიდებლათ“.

### გორი.

სამეურნეო კურსები გორის სამეურნეო საზოგადოებასთან უკვე დაიწყო 20 თებერვლიდან. მეცადინეობა სწარმოებს დილის 10 საათიდან ორამდე და საღამოზედ 5-დან 7 საათამდე. მუდმივ მსმენელთა რიცხვი 43 კაცია, მხოლოთ საღამობით ზოგჯერ გაცილებით მეტი ესწრება, რადგანაც კურსების კარები ყველასათვის ღიაა; დარბაზის სივიწროვე რომ არ უშლიდეს ხელს, მსმენელთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა.

### მოსკოვი.

სათანადო მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქმნა სტუდენტთა ურთიერთ დამხმარე სა—ბის ახალი წესდება. ამ წესდების ძალით სტუდენტებს ნება ეძლევათ ზომავალში ლექციები და მოხსენებანი ქართულად იკითხონ ხოლმე და საქმის წარმოებაც ქართულ ენაზე იყოს.

### თელავი.

25 და 26 თებერვალს, აქაურ სინემატოგრაფ „ლირაში“ უჩვენებდნენ სურათებს თელ. პროგიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. აუარებელი ხალხი ესწრებოდა.

— მდინარე ალაზნის ნაპირას ნახეს მკვდარი კაცის გვამი. ვინაობა ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

### ქვემო მთიულეთი.

სოფ. ჯულისში, ღამე ცეცხლი გაუჩნდა ივანე აფციაურის სახლს და მთლად გადაიწვა როგორც სახლი, ისე სარჩო-საბადებელი. ცეცხლშივე დაეწვა ორი ბავშვი 3—5 წლისა და საქონელი. ცეცხლი გადავიდა მეზობლის, სიმონა აფციაურის სახლზე და იგიც გადასწვა თავისი ბეღლით, რომელშიაც 60 კოდი პური ჰქონდა.

— ქვემო მთიულეთის საზოგადოებას მთლად მოედო ავადმყოფობა: ქუნთრუშა, წითელა და ყვავილი. ხალხი

## ვინა ვართ ქართველი ისრაელები?

(გაგრძელება)

ჩვენც პირდაპირ შევუდგეთ ამ საკითხის გარკვევას, ჯერ კიდევ გავიმეოროთ, თუ რა არის ერი და დავისახოთ თვალწინ მისი შემადგენელი ფაქტორები: **„ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი** (ტარდის სიტყვით), **შემდგარი ერთგვარ ანუ მრავალ-გვარ ეთნიურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა,—საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა“** [5]). ჩემის აზრით ეს საუკეთესო განმარტება არის ერისა, თუმცა ბევრნაირი თეორიები კი არსებობს ამ საკითხის გამოსარკვევად. უმთავრესი მათში არის ეგ. წოდ. „თეორია სუბიექტიური შეგნებისა“, რომელიც უმთავრესად დამყარებულია პიროვნებათა თავისუფლებაზე. ეს მე უკვე მქონდა მოხსენებული ჩემს წინა წერილში [6]) და აღარ გავიმეორებ მას. მეორე, აგრეთვე მნიშვნელოვანი თეორია უმთავრესად ერის პსიხოლოგიაზედ ემყარება. მესამე კი, არა მათზე ნაკლებ გავლენიანი თეორია არის ე. წ. „თეორია ობიექტიურ ფაქტორებისა“, მაგრამ არც ერთ ისეთ თეორიაზე მე არა გამიგონია, რომელიც ეროვნებას მხოლოდ სარწმუნოებით საზღვრავდეს. და თუ ბ-ნ ბააზოვსა სურს „ახალი“ თეორია შექმნას, ეს სულ სხვა საკითხია და ჩვენც სიამოვნებით მოვისმენთ მას, თუ, რასაკვირველია, ძველებურად კაბალისტიკაზე და სოფისტიკაზე არ იქნება დამყარებული. აქვე მოვიხსენიოთ, შეძლებისა დაგვარად, ყველა ის ფაქტორები, რომლითაც ერთი ერი მეორისაგან ისაზღვრება და გავარჩიოთ ისიც, თუ ეს ფაქტორები გვაქვს ჩვენ რუს-ამერიკის ებრაელური თუ ქართული? ამიტომ შევეხოთ ჩვენი რაბინის ექსკურსიასაც მეცნიერების სფეროში, სადაც ის ისე ნავარდობს, როგორც საკუთარ ლოგინ-საწოლში.

თუმცა **რასა**—ტომი ეროვნებათა დაყოფაში არავითარ როლს აღარ თამაშობს, მაგრამ რაკი ონელ მეცნიერსა ჰგონია, რომ ტიპი ჩვენი ებრაულია და არა ქართული, ჩვენც ცოტათ შევაჩერებთ პატივცემულ მკითხველის ყურადღებას ამ ფაქტორის გარჩევაზედ. ჩვენ რომ ტიპი ქართული გვაქვს, ამაზედ უკვე გამოსთქვა პატივცემულმა ივანე გომართელმა მეცნიერთა აზრი, მხოლოდ ბააზოვისთვის უსათუოდ ისეთი ავტორიტეტი ყოფილა საჭირო, რომლის გვარიც უსათუოდ ან **ოვით** უნდა ბოლოვდებოდეს, ან შტეინ-მან-ერ-სკი-თ. დავაკმაყოფილოთ რაბინის სურვილი, მივმართოთ ცნობილ მეცნიერ-ანტროპოლოგ ი. დენიკერის გამოკვლევას. ჯერ კი გავიგოთ, რა არის ანტროპოლოგია? ანტროპოლოგია არის მეცნიერების ის დარგი, რომელიც ადამიანთა ფიზიკურ ხმარეების შესწავლით ისაზღვრება. ბოლოდროს კი ანტრაპოლოგიამ **უფრო** შეზღუდა თვისი გამოკვლევის **საგანი** და რასიული განსხვავების დასამტკიცებლად **თავის ქალას** შესწავლითა და გაზომვით კმაყოფილდება.

შეიძლება ჩვენმა მეცნიერმა რაბინმა არც კი იცოდეს, რომ დიდი ხნის შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ ებრაული ტიპი არის **დოლიქოცეფალური**, ე. ი. ისეთი, რომელსაც ადამიანის თავის ქალას ცოტათ თუ ბევრად **მოგრძო ფორმა** ახასიათებს. დენიკერს კი გამოუკვლევია, რომ ქართველი ისრაელის ტიპი და თავის ქალა სულ წინააღმდეგია და სხვაფრად მოწყობილი, ვიდრე ებრაელისა. ქართველის ტიპი საერთოდ არის **ბრაქიცეფალური**—ე. ი. თავის ქალას ცოტად თუ ბევრად **მორგვალო ფორმა** აქვს ქართველი ისრაელებიც თურმე ისეთივე **უკიდურესი ბრაქიცეფალები** ყოფილან, როგორც ქრისტიანი ქართველები, მაშ სადღა ყოფილა, ჩვენო მეცნიერო „ტიპიური სახის შენარჩუნება“? და რით ყოფილა ივ. გომართელის აზრი უსაბუთო? რაც შეეხება ამერიკელი თუ რუსის ებრაელების ქალის თხოვას, ეს ხომ, ღვთის წყალობით, არ არის ჩვენში გავრცელებული. ჩვენ პირიქით იმის მოწმენი ვართ, რომ ქართველი ისრაელის ოჯახი სასოწარკვეთილებაში ვარდება, როდესაც შიგ რომელიმე უცხო ელემენტები შეიჭრება. ეს იმიტომ ხდება, რომ ქმარს ცოლის არა ესმის-რა, იმას კიდევ ქმრისა, დედამთილ-მამამთილს რძლის არა გაეგება-რა და უკანასკნელს პირველთა. ამას შედეგათ ის მოჰყვება ხოლმე, რომ ოჯახური მყუდროება და სიწყნარე სულ ერთიანად ირღვევა, საბრალო ოჯახი ქარისა და ნიავის მსხვერპლი ხდება. ქარის კი არც შემოტანილი გვინდა და არც გატანილი.

უცხო ქალების შერთვის შედეგი უკვე იხილა რამოდენიმე ქართველმა ისრაელმა აკანმა და უეჭველია, გონზედაც მოვიდოდა. ხოლო ბააზოვს კი უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენ ვილნოში ან სხვაგან, რუსეთის იეშიბეში, არ აღვზდილვართ, რომ უცხო ქალები შევირთოთ ცოლად. ფაქტებიც ამას გვეუბნება და ამიტომ ამ შემთხვევაშიდაც აჯობებს, თუ სიმართლეს გზას მისცემთ და თქვენც უკან დაიხევთ, ჩვენო სულიერო და განმანათლებელო მამავ! და თუ ტიპის შენარჩუნებას ან ანტროპოლოგიურ გამოკვლევას, გრძელი წვერისა და კიკინების ტარებაში ხედავთ, მაშინ უნდა მოიტაცოთ ყოველი გრძელ წვერა ადამიანი და პალესტინაში გადაასახლოთ. ჯერ, რასაკვირველია, უნდა დააჯეროთ, რომ რაკი წვერიც გრძელი აქვს, ფეხებიც მოკლე, ან ხუჭუჭი თმაც, ის ებრაელია წმინდა-წყლისა. მე, და არც დაკვირვებულად თქვენი წერილების წამკითხველს, ეჭვი არ შეგვეპარება იმაში, რომ თქვენ თამამად ჩაიდენთ ასეთ რამეს.

დავიძინოთ პატარა ხანს და ვისიზმროთ ერთი წუთით, ვითომ ჩვენ მოსულები ვიყოთ საქართველოში და სულ სხვა ტიპის ხალხიც. მაგრამ, გამოვეღვიძა და მოგვაგონდა ის ისტორიული კანონი, რომლის ძალითაც უნდა შემუშავებულიყო ჩვენში ქართული ტიპი. რასას რომ ეროვნებათა დანაწილებაში რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ ქვეყანაზე არც რუსი იქნებოდა, არც ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი ან ქართველი. რომ რასათა სხვა და სხვაობა არ აშორებს ერის ერთ ნაწილს მეორისაგან, ეს ცხადია, რადგანაც **ერი არა რასიული ინდივიდუალობაა, არამედ სოციალური** და ფსიხოლოგიური ინდივიდუალობა და, მაშასადამე, ისტორიული ინდივიდუალობაც, განსაზღვრული სოციალური ორგანიზმი, რაიც უკვე ერის თავისებურობის საფუძველია. ვინ იცის, რამდენ ნაირ რასებისაგან შემდგარია ერი. ინგლისელებში, მაგალითად, ბევრი რასათა სისხლი ურევია, როგორიც არიან: ბრიტტები, ანგლო-საქსონები, სკანდინაველი ვიკინგები, დანიელები, გაფრანგებული ნორმანები და სხვანი. გერმანელებში გარდა საკუთარისა შერეულია სლავიანური და ფინური სისხლი.

რუსებში კიდევ სლავიანური, ფინური, პაჭანიკებისა (печенеги), სკვითებისა (скиөы), თათრებისა და მონგოლებისა. ფრანგებში გალლებისა, რომაელებისა, გერმანელებისა და სხვათა; ყველა ზემოხსენებული რასიული სხვადასხვაობის მიუხედავათ მაინც არსებობს ერი, ერი—გერმანული, რუსული, ინგლისური და ფრანგული. რუსს რომ ჰკითხოთ, მაგალითად, ვინა ხარ შენო, გეტყვისთ მოკლეთ—რუსიო და არა სკვითის, თათრისა და პაჭანიკის შთამომავალიო, რადგანაც მისთვის სულ ერთია, ვისი მოდგმაა. ვსთქვათ, თუგინდ, რომ შთამომავლობას ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა, მაინც თქვენგნით მოყვანილი „საბუთი“ სრულიად გაქარწყლდება, თუ მივიღებთ პროფესორ მ. ფიშბერგის ჭეშმარიტ დებულებას. თავის ერთ ფრიად მკაფიოთ და მეცნიერულად დასაბუთებულ შრომაში [7]) ფიშბერგი ამბობს, რომ „ებრაელებს აერთებს არა საერთო შთამომავლობა, არამედ მხოლოდ რელიგია და დევნისაგან შემუშავებული ყოფა-ცხოვრებაო“. თუმცა სხვა სიტყვებით, მაგრამ ამასვე გაიძახის ჩვენი რაბინიც აქაც საჭიროა პატარა შეჩერება და დანახვა, რომ მართლა გვაერთებს ებრაელობასთან ქართველ ისრაელებს სარწმუნოება ან დევნისაგან შემუშავებული ყოფა-ცხოვრება, თუ არა?

მიღებულია საზოგადოთ ერთგვარი შაბლონი, თითქოს მოსეს მოძღვრების აღმსარებელთა შორის არავითარი განსხვავება იყოს სარწმუნოებრივათ. ნამდვილათ კი, რამდენათაც მე ამას დავუკვირდი, ეს სრულიადაც არ არის ასე. შეიძლება ჩემი დაკვირვება ცოტა ზერელეც იყოს, მაგრამ მაინც გავუზიარებ პატივცემულ მკითხველს ჩემს მოსაზრებას.

თუ პირდაპირ ალღოდ დავსვით საკითხი, რასაკვირველია, რელიგია ყველას ერთი გვაქვს არა თუ ისრაელებს, არამედ მართლმადიდებელთა და კათოლიკეთაც. ხოლო საქმე ისაა, რომ როგორც ყოველ რჯულში, აქაც განსხვავება ცერემონიალურსა და გარეგნულ წესრიგში სჭარბობს. მეტი განსხვავება არც ქრისტიანთა რჯულში მოიპოვება. ეს კი ბევრ რაშიმე გამოიხატება, როგორც მაგალითად, მიცვალებულის დაკრძალვაში, მისი სულის მოხსენებაში, ქორწინების წესრიგში, ბავშვის ნათლავში და სხვა. არ დავივიწყოთ აქ ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანის ცხოვრებაში დაბადება, ქორწილი და გარდაცვალება სამი უმთავრესი მომენტთაგანია; ისეთი მომენტებია, რომელნიც მხოლოდ ერთხელ მოხდებიან და ისიც მთელის ცხოვრების გზას მიმართულებას აძლევს. ამ სამ უმთავრეს მომენტს მიაქცია რელიგიამაც უმთავრესი ყურადღება და აქვე უნდა გამოიხატებოდეს მისი სული და გული, მისი შინაარსი.

ძალიან შეძრწუნებულია აუარებელი მსხვერპლით. მარტო დ. ფასანაურში ამ სენით უკვე რვა დიდი და პატარა გარდაიცვალა.

— ზემო მთიულის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა თბილისის გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს სოფ. კაიშაურში გახსნან მომხმარებელი საზოგადოება.

**სურამი.**

კვირას, 26 თებერვალს, გლეხმა ზაქარა ტაბატაძემ, რომელიც კამეჩების სასყიდლად იყო მოსული სურამში, დაჰკარგა 1,600 მან.; როგორც ირკვევა, გლეხი ტაბატაძე ძმათა არუცოვების მაღაზიის წინ ნახევარ საათს მჯდარა და მეშის პორტმანეც იქ დავარდნია. სურამის ურიადნიკმა მიუხედავათ იმისა, რომ მოწმეებიც გამოჩნდნენ და ამტკიცებდენ, რომ ხსენებული ფული აიღო და შეიტანა მაღაზიაში აბგარ არუცოვმაო, ხსენებულმა ურიადნიკმა ზომები არ მიიღო. მაშინვე მამასახლისმა დააპატიმრა აბგარ არუცოვი და მოწმები და თვით გლეხი ტაბატაძე. მეორე დღეს საქმე გადაეცა ხაშურის ბოქაულს, რომელმაც შეადგინა ოქმი. არუცოვი უარზეა, არავითარი ფული არ მიპოვნიაო. არუცოვი დააპატიმრეს.

**ცხინვალი** (გორ. მაზ.).

19 თებერვალს შესდგა დამფუძნებელი კრება თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის ცხინვალის ფილიალურ განყოფილებისა. ყრილობის დღე გაზეთში იყო გამოცხადებული თითქმის ორი კვირის წინად და დროებითმა გამგეობამ უწყებებიც დაუგზავნა ცხინვალის რაიონის მასწავლებლებს და მოუხმობდა მათ დასწრებოდნენ ყრილობას. მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, დანიშნულ დღეს კრებაზედ მხოლოდ თხუთმეტიოდე კაცი გამოცხადდა. ეტყობათ, ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეუგნიათ სიდიადე და უდიდესი საჭიროება შეკავშირებისა და ერთად გამკლავება უკუღმართ პირობებთან. კრებაზე მასწავლებლებმა ისაუბრეს რამდენიმე საჭირბოროტო და საყურადღებო საკითხზედ; დასასრულ, ამორჩეულ იქმნა ხუთი წევრი გამგეობისა და სამი სარევიზიო კომისიისა.

**ონი** (რაჭა).

მღვდელი მეტრეველი ქორწილში იყო. შეღვინიანებულს რევოლვერიდან სროლა დაუწყვია. ტყვია ონის პირველ დაწყებით სკოლის მოწაფეს მოხვდა და მესამე დღესვე გარდაიცვალა.

**არმავირი** (ჩრდ. კავკ.).

დაიკარგა მთელი მატარებელი 42 ვაგონისაგან შემდგარი. ვაგონები ფქვილით იყო დატვირთული და განჯის გუბერნიისათვის იყო დანიშნული.

## შეცდომათა გასწორება

გ. ვაშაძის გუშინდელ წერილში დაბეჭდილია: რუსეთის ხალხების **წარმომადგენლებმა**, სახელ. სათათბიროს სახით, ბრძოლის ასპარეზის უბედურობას სულერთიანად მთავრობას აბრალებს და სხვა. უნდა იყოს: რუსეთის ხალხის **წარმომადგენლობა** და სხვა...

# კავკასიის ჯარისათვის სურსათის მიმწოდებელ გამგეობის უფროსის განცხადება

**ქალაქში სხვა და სხვა ხმების გავრცელების გამო ვაცხადებთ, რომ პეტროგრადში ისეთი ამბავი მოხდა, რომელმაც გამოიწვია უმაღლეს მთავრობის პირთა გამოცვლა. პეტროგრადში ამ ჟამათ სრული მშვიდობაა, კავკასიის არმია ძლევამოსილებით ისწრაფვის წინ, რომ შეუერთდეს ჩვენს სახელოვან მოკავშირე—ინგლისელებს. ს ქალაქი კავკასიის მცხოვრებთ სრული სიმშვიდე დაიცვან, რომ უზრუნველ იქმნეს გამარჯვება ჯარისა და მკვიდრთათვის საჭირო სურსათის მოზიდვისა და მიწოდების საქმე არ შეფერხდეს.**

# შენიშვნები

VI

**ეკონომიური საქმიანობა, უცხო კაპიტალი და სოფლის მეურნეობა.**

(დასასრული)

ასეთია, მოკლედ რომ ვსთქვათ, სომხის კაპიტალის როლი საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში. კიდევ უფრო მეტი დამრღვევი და უარყოფითი მხარეები ახლავს სომხის კაპიტალის ტრიალს სოფლად და სოფლებში. აქ მისი ანტიკულტურული და ანტი ეროვნული მნიშვნელობა პირდაპირ აუტანელი და შეუწყნარებელია.

დაპყრობითი მიზნით შემოჭრილ კაპიტალის მადა განუსაზღვრელია. მან არ იცის ზომა და წესიერება. ის ციბრუტივით ხან აქეთ ეხეთქება და ხან იქით; დარწმუნებულია იმაში, რომ სადაც არ მოხვდეს, სულ ერთია. მაინც თავისას გაიტანს და „გასტეხს ქვასაცა მაგარსა“. შედარებით ძნელია ასეთ კაპიტალისათვის სოფლის იდილიურ მყუდროების დარღვევა და იქ თავის შფოთიანობისა და დაუდგრომლობის შეტანა. სოფელი ყოველთვის კონსერვატიულ ელემენტს შეიცავდა, ქალაქთან შედარებით, და ამიტომაც ბურჟუაზიის ბრძოლა აგრარიებთან აგრე აჭრელებს ევროპის სამოქალაქო ბრძოლის ისტორიას. ჩვენში კი ასეთი ბრძოლა სულ სხვა პირობებში მიმდინარეობს. აქ ეროვნული ბურჟუაზია ვერ უპირდაპირდება სოფელს, იქ ის ქალაქის დაგვარად მხოლოდ უცხო კაპიტალის საშიშროების წინაშე მდგომ უმწეო გლეხ-კაცობასა და გაღატაკებულ თავად-აზნაურობას ხედავს, ხოლო ეს უკანასკნელნი ხომ „ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია“ მისი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ეროვნულ ბურჟუაზიის დაპირისპირება იმ მხრით, რომ თავად-აზნაურობის ბაზარზე გასასყიდად გამოტანილი მამული სხვას არ ჩაუვარდეს ხელში, მაგრამ, როგორც ვიცით, აქ ხომ კრედიტი და შეძლებულობაა საჭირო... ერთის სიტყვით, საითაც არ გავიხედავთ, სომხის კაპიტალს ჩვენს ეროვნულ სხეულში დამრღვევი და გამხრწნელი ელემენტები შეაქვს, ის გვემუქრება, ბრძოლად გვიწოდებს, და ეს გარემოება კიდევ უფრო საჭიროდ ხდის მოქალაქეთა წრის, თავად-აზნაურობისა და გლეხობის განსაზღვრულ მიზნით შეერთებასა დი თანხმობით მოქმედებას სოფელში. ეს აზრი მით უფრო ცხადი ხდება, როცა წარმოვიდგინეთ, რომ სომხის კაპიტალი ჩვენში მიწას იძენს მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ თესლის დასამკვიდრებლად და არა რაიმე სხვა კულტურულ თუ სამრეწველო მიზნებით.

ასეთი პირობები ჩვენში ეროვნულ კაპიტალის განვითარებისა ერთობ ძნელი და სავალალოა. ყოველი ახალი კლასი თხოულობს ხელსაყრელ პირობებსა და ასპარეზს თავის მოქმედების გასავრცელებლად. ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კლასმა ერთობ დააყოვნა თავისი გამოსვლა და ამაშია მთელი სიძნელე მისი მისიის შესრულებისა. დაპყრობილ ასპარეზიდან მოღონიერებულ სომხის სოვდაგრების განდევნა არც ისე ადვილია. ამას გრძნობენ ალბად ქართველი ვაჭარ-მრეწველნი და ამიტომაც ცდილობენ აღიჭურვონ წმინდა ევროპიულ ბრძოლის მეთოდებით. ჩვენს წვრილ მოვაჭრეთ, რომლებიც თანდათან ფეხს იდგამენ ქალაქებში, ესაჭიროებათ ფართე კრედიტი, დახმარება. მხოლოდ დახმარებით და სუბსიდიებით ვითარდებოდა ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში ვაჭრობა-აღებ-მიცემობა. სხვა ქვეყნებში ამისათვის მზად იყო მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმი, ხოლო ჩვენ, როგორც ვიცით, მოკლებული ვართ ასეთ ბედნიერებას. ეს გარემოება კი კიდევ უფრო მიგვიწევს საერთო თანხმობით მოქმედებისაკენ. ვაჭრობა-მრეწველობის ასაღორძინებლად საჭირო დახმარებას ამ შემთხვევაში მხოლოდ ბანკები იძლევიან და ქართველნიც ბეჯითად შეუდგნენ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის დაარსების საქმეს. ეს ბანკი თავის გარშემო შემოიკრებს ვაჭარ მრეწველთ, შეაკავშირებს საერთო საეროვნო საქმეში, მაგრამ უმთავრესი საზრუნავი ქართველთა ახლანდელ თაობისა მაინც უნუგეშო მდგომარეობაში რჩება. ჩვენ მოგახსენებთ სოფლის მეურნეობასა და გლეხკაცობაზე. იქ შეჭრილი სომხის კაპიტალი უფრო საშიშია ჩვენთვის, ვინემ ქალაქებში. ამ აზრის საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნება სიტყვიერად, მაგრამ უცხო ხილის ახალი სანახაობით გატაცებულთ გული მაინც ქალაქისაკენ მიგვიწევს. მაგრამ თუ ზედმეტი არა, თანაბარი შველა მაინც უნდა სოფელს და ამიტომაც ამ თავითვე საჭიროა დიდი აგიტაცია და ყოველ გზა ჯვარედინზე იმის ყვირილი, რომ სოფელი ვიხსნათ შემოსევისაგან, იქაც ნუ შევუშვებთ ჩვენი განზნევისა და დაძაბუნების მოციქულ უცხო კაპიტალს, თორემ შემდეგ გვიანღა იქნება თითზე კბენანი. ამიტომაც იმ დღეს, როცა გაიხსნება ამიერ-კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკი, საკითხი უნდა დაისვას სასოფლო-სამეურნეო ბანკის ოპერაციის გაძლიერებასა და გაფართოებაზე. მხოლოდ ამ ორ ტიპის ბანკის ხელი-ხელ ჩაკიდებულ მუშაობით შეიძლება საქართველომ აიცდინოს მოზღვავებულ უცხოთა ტალღის საფრთხე და საშიშროება. სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობა-მრეწველობას საქართველოში, მიუხედავად ერთგვარ წინააღმდეგობისა, გარემოების ძალით ბევრი საერთო მიზნები აქვთ და ბევრი საერთო საქმეც აქვთ გასაკეთებელი; ამიტომაც საჭირო ხდება მიწადმფლობელობის, მიწადმოქმედებისა და ვაჭრობის ინტერესების მორიგება საერთო საეროვნო საქმეების კეთილად წარმართვისა და უზრუნველ განვითარებისათვის. ჩვენ აქ აღვნიშნავთ საერთო ინტერესებს და შეთანხმებით მუშაობის საჭიროებას, თორემ ერთ წუთშიაც არ გვავიწყდება, რომ შეურიგებელის შერიგება შეუძლებელია და ერთხელაც, როცა ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა უფრო ხელსაყრელი და ქართულ ეროვნულ ვითარებასთან შეფარდებული იქნება, მაშინ კლასთა ბრძოლა და ინტერესთა წინააღმდეგობა აუცილებელი და საჭიროც დარჩება. მანამ კი ასეთ ბრძოლას ვერ შერჩება ის მწვავე ხასიათი, როგორიც აქვს, მაგალითად, კლასიურ ბრძოლას საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში. თავისებური იყო საქართველოს ბედი მე-XVIII საუკუნის მიწურულში და შემდეგ ვიდრე უკანასკნელ დრომდე და ამიტომაც თავისებურივეა პირობები ახალ ეკონომიურ ვითარების დამყარებისა ჩვენში აწინდელ მდგომარეობის მიხედვით. ეს თავისებურობა ჩვენის საზოგადოებრივის ცხოვრების განვითარებისა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და მხედველობიდან არასოდეს არ უნდა გავუშვათ.

**დ. არონიშიძე.**

# შავი აჩრდილი

მთიელთ ერთი ამბავი აქვთ დარჩენილი გონიერ მეცხვარის შესახებ: ზამთრის მძვინვარებამ საშუალება მოუსპო მეცხვარეს საბალახე უზრუნველ ეყო. რაც თივა ჰქონია შენახული, ისიც თქეშსა და ზვავს წაულეკნია. ცხვარი ცოხნით ირთობდა თავს. მეცხვარემ იფიქრა, თუ ცხვარი ასე განაგრძობს ცოხნას, მალე საჭმელს მოინელებს და შიმშილით გამიწყდებაო. ადგა და ხერხს მიჰმართა: მაღალ სარზე მკვდარი კატა ჩამოჰკიდა. ცხვარი გაშტერებით მიაჩერდა და ცოხნა შეაჩერა. მეცხვარეს შეძლება მიეცა დაზოგვილი მცირე თივით მთელი ერთი თვე კიდევ ეკვებნა ცხვარი. ამასობაში გამოზაფხულდა და ცხვარიც მთაზე გაიფინა. ჭკვიანმა მეცხვარემ ცხვარი გაწყვეტისგან იხსნა...

მთიელთა თქმულება ნამდვილი დახასიათებაა დღევანდელ ჩვენის საზოგადო მდგომარეობისა. ხალხი დღემდე სარზე ჩამოკიდულ მკვდარ კატით იკვებავს თავს. 1914 წლიდან მოყოლებული, ჭკვიანი მეცხვარენი იმით გვაიმედებდნენ, რომ ომი სულ მალე გათავდებოდა, ვინაიდან გერმანელს მალე მოამშევდნენ და მარტო ერთი ლითონი, მოგეხსენებათ, თვით სირაქლემასაც ხეირს არ დააყრის, არა თუ ადამიანებს. ამას ამბობდნენ არა მარტო ბიუროკრატიის წარმომადგენელნი, არა მხოლოდ მინისტრები, არამედ... პრესის წარმომადგენელნი და თვით ისეთი ცნობილი ეკონომისტები, როგორსაც რუსეთში ტუგან-ბარანოვსკების სახით იცნობენ. მაგრამ სამს თვეს სამი წელი მოჰყვა. ხალხი შეჰყურებს ამდენ ჭირისუფალ მეცხვარეთა მიერ ჩამოკიდებულს მკვდარს კატას, მაგრამ გაზაფხული ვერა ვნახეთ: მტერი ისევ ღონიერია, შიმშილობით ვერ ვაიძულეთ იარაღი დაეყარა, და არა თუ ვერ ვაიძულეთ, დღეს-დღეობით საქმე ისე შეტრიალდა, რომ წინასწარი ზეიმი უნდა შევაჩეროთ და ვიფიქროთ საკუთარს თავისთვის: პურით უმდიდრესი რუსეთის ხალხი ულარიბესი შეიქმნა, ხალხს საცოხნიც აღარ მოეპოვება...

ჩვენ ამ ჟამად სრულებითაც არ გვაინტერესებს ის საკითხი, თუ როგორ მოხდა, რომ პურის სამეფო რუსეთი ამ საშინელს კრიზისს განიცდის. დამნაშავენი არიან სპეკულიანტები თუ არა, არც ამის გამოკვლევაში შევდივართ, ვინაიდან ფოცხვერს არავინა ჰკითხავს სისხლის სმა რად გიყვარსო, როდესაც იციან, რომ ეს იმის თვისებას შეადგენს: ამ შემთხვევაში მას მხოლოდ თოფით უმასპინძლდებიან. სულ სხვაა ადამიანის გაფოცხვერება, სულ სხვაა მისი პსიხიკა და გარდაქმნა მისი ჩვენის წერილის საგანს არ შეადგენს.

რუსეთი ფართოა და თავის ქვეყნის მხარის გამოკვებას თვითვე მოახერხებს. სულ სხვაა ჩვენი ქვეყანა და სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია მას. დღემდე ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებით ქართლი, პურის ქვეყანად ითვლებოდა, მიწათმოქმედების საუკეთესო მხარედ. მაგრამ ფაქტიურად, თუ სტატისტიკურს ცნობებს გადავხედავთ, ჩვენი ქვეყანა ფრიად ჩამორჩენილია. ამ მხრივ იგი ვერავითარს კონკურენციას გაუწევს რუსეთის ისეთს დაპურებულს გუბერნიებს, როგორიც არიან სამარისა, ბესარაბიისა, სარატოვისა, ყუბანისა და სხვა. ვინ არ იცის, თუ ყუბანის ოლქი რა სამსახურს უწევდა ჩვენს ქვეყანას ფქვილის შემოზიდვით! ქართლის ბეღლობა ლეგენდა გამოდგა. ქართლმა ბოლოს მიაგნო თავის დანიშნულებას, —ესაა ხილის მოსავალი. მაგრამ ამ ჟამად მარტო ხილით ვერ გამოიკვებავს ადამიანი თავს. მისი გარედ გატანაც გაძნელდა, ხოლო შინ დესერტად დამშეულს კუჭს ქართველი კაცი არ სჩვევია იმის ჭამას.

თუ რომ გაძნელდა ხილის გატანის საქმე, მით უმეტეს გართულდა გარედან ფქვილის შემოტანა. და ეს რომ მითი არ არის და ზღაპარი, სჩანს ჩვენის აგრონომის გ. დალაქიშვილის გულწრფელ განცხადებიდან: „იმედი არ უნდა გვქონდეს ფქვილების და სიმინდის მოტანისა ჩრდილო კავკასიიდან, რადგან იქაურნი ნებით აღარ ჰყიდიან ჭირნახულსაო“. შემდეგ დაასკვნის: „ჩვენვე მოვუაროთ ჩვენს თავსა, ვურჩიოთ გლეხკაცობას, რაც შეიძლება მეტი მოხნას და დასთესოსო“. ამასვე გვირჩევს მეორე აგრონომი პატივცემული ი. ქურდიანი. მან გეგმაც კი წარმოადგინა, თუ როგორ უნდა მოხდეს ბ-ნ დალაქიშვილის აზრის განხორციელება. საყურადღებოა, რომ იმავე წერილში („საქართველო“ № 47) ბ-ნ ი. ქურდიანს მოჰყავს ცნობა, რომ გორის მაზრაში 1915 წელს $1/4$ მოხნულა იმისა, რაც საზოგადოდ ომის დაწყებამდე ნორმალ წესით იხვნებოდა. ფრიად დამაფიქრებელია ეს ამბავი: ერთი მეოთხედი მოიხნა 1915 წ., მაშასადამე, წელს, როდესაც თითქმის სულ უკაცოდ დარჩა სოფელი, რაღა უნდა მოგველოდეს! გარედან იმედი არაა, გინდაც „ჩრდილოეთ კავკასიის ვაჭრებმა გამოიმეტონ, ეხლა, ამ საზოგადო დრტვინვის დროს, მატარებელს ჩვენთვის არავინ მოაცლის. ჩვენ ჩვენის თავის ანაბარად დავრჩით. ჩვენი თავი და მიწათმოქმედება ეხლა ქალებსა და ბავშვებს აბარიათ. საქონელიც გაწყვეტილია. მოგეხსენებათ, რუსეთის ეგრედ წოდებული „მუჟიკი“ თუ ერთ ცხენითა ჰხნავს და ფარცხავს, ჩვენს შავს ყამირის გადასაბრუნებლად 7—8 უღელი ხარ-კამეჩიც არა ჰყოფნის. ესეც რომ მოახერხონ, ვიდრე სამკალი მოვიდოდეს, უფქვილობა საშინელის კრიზისით გვემუქრება, შიმშილობით. ჩვენის ხალხის საკვებად ორი თვის საგძალიც არაა გათვალისწინებული. მოსავლამდე კი... უნდა ვიცოხნოთ! ვიცოხნოთ იმიტომ, რომ ჩვენი თვალი უკვე მოჭირისუფლეთა მიერ ჩამოკიდებულ მკვდარ კატის ყურებას შეეჩვია. მალე მოვრჩებით ამასაც და რა გველის შემდეგ, ალლაჰმა უწყის. მდგომარეობის სიმძიმე, დაზიდული ატმოსფერა, გამოურკვეველი პერსპექტივები და წინ ათინათინებული შიმშილობის შავი ლანდი,—აი რას შეწესწარით, აი რა აწუხებს ჩვენს ერს...

**ქართლელი.**

# სომხური პრესა

„მშაკში“ დაბეჭდილია წერილი „მაგალითად მივიჩნიოთ“, რომელიც ეხება ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების 19 თებერვლის კრებას.

გაზეთებმა გვაუწყეს, ამბობს „მშაკი“, რომ ახალ კლუბში გამართულ წ. კ. საზოგადოების კრებას 903 ნამდვილი წევრი დასწრებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საზოგადოებაში ტყუილა უბრალოდ კი არ ისვრიან საწევრო ფულს, არამედ პირდაპირ დაინტერესებულნი არიან საზოგადოების ბედ-იღბლით. ამ საზოგადოებას რამდენიმე სამაგალითო სკოლა აქვს და მრავალი განყოფილებანი. მათსა და ცენტრს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

ჩვენ, სომხებსაც ბევრი საკულტურო დაწ[illegible] კავკასიის სატახტ[illegible] სომხები უმრავლესობას წარმოადგენენ. რამდენი კაცი ჩაწერილა თავისით ამ საზოგადოებაში. ვის ეინტერესება მათი ბედი, რამდენი კაცი დადის საერთო კრებებზე? თბილისში, მაგალითად არის „სასარგებლო ცნობათა გავრცელების საზოგადოება“. და იცით რამდენი წევრი ჰყავს? სულ 25 კაცი! არც სხვა საზოგადოების საქმეა უკეთ, გარდა საქველმოქმედო საზოგადოებისა, რომლის უკანასკნელ კრებას დაესწრო მხოლოდ 50 კაცი.

აბა, მოიკითხეთ, ახლა რამდენმა მილიონერმა აასრულა თავისი მოვალეობა ჩვენ საზოგადოებათა წინაშე? ჩვენი მეზობლები კი მთლად შემოკრებილან ერთი საზოგადოების გარშემო, უყვართ და ზრუნავენ მისთვის. მათგან მაინც ავიღოთ მაგალითი. ჩვენც მათსავით დავინტერესდეთ საქმით და ჩვენს ორგანიზაციებს ცხოველი სული ჩავბეროთ. სიტყვები როდი კმარა, საჭიროა საქმე, როგორც ამას სჩადიან ქართველები და თათრები და მხოლოდ მაშინ გვექნება პატივისცემა და ფასი.

* *

იმავე „მშაკში“ დაბეჭდილია წერილი მშობლიურ ენათა სწავლების აუცილებლობის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში ერთი ადამიანიც არ მოიპოება, რომელიც არ სცდილობდეს შეასწავლოს თავის ბავშვებს სახელმწიფოებრივი რუსული ენა. რადგან უამისოდ ისინი ვერ იმოქმედებენ და ვერ იქნებიან მოქალაქენი. მაგრამ ბუნებრივია აგრეთვე, რომ ყოველ ერის შვილს აქვს მისწრაფება სამშობლო ენა შეისწავლოს. ამიტომ თურქების, ქართველების და სომხებისათვის საშუალო სასწავლებლებში უეჭველად სავალდებულო უნდა იყვეს სამშობლო ენა, რათა თავის ცოდნით შემდეგ რაიმე სარგებლობა მოუტანონ ხალხს.

რამდენადაც ვიცით სალ პედაგოგიის წინააღმდეგი არაა არც ბ-ნი რუდოლფი. აღსანიშნავია აგრეთვე 1914 წლის 1 ივლისის კანონი, რომელიც ნებას აძლევს საშუალო სასწავლებლებში მშობლიურ ენაზე იყოს სწავლება. ყველაფერი მოწმობს, რომ ეს საკითხი მომწიფებულია.

# ეკონომიური ცხოვრება

**ახალი ქართული საბანკო სახლი პეტროგრადში.**

თბილისში ცნობა მოვიდა, რომ ცნობილ ქართველ მრეწველის მანსვეტაშვილის თაოსნობით პეტროგრადში არსდება ახალი ბანკი, რომელშიაც მხოლოდ ქართველები ღებულობენ მონაწილეობას. ამ ბანკს მიზნად ექნება დასახული შუამავლობა გაუწიოს ჩვენს ფინანსიურსა და საკრედიტო დაწესებულებებს რუსეთის და ევროპის ფინანსიურ წრეებთან. ბანკის გახსნას მახლობელ თვეებში აპირებენ.

—

**ს. და მ. თაბაგარს** ნება დართეს შორაპნის მაზრაში ს. დარკვეთში შავი ქვის წარმოების დაწყებისა.

—

**ი. ჩხიკვაძეს, ვ. ულენტს და ვ. სამხარაძეს** ნება დართეს შორაპნის მაზრაში ს. ცოც. წყაროში შავი ქვის წარმოებისა.

—

**ქაღალდის ფული.** ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების ეკონომიურ-ფინანსიურ კომისიაში პროფესორ ბერნაცკიმ მოხსენება წაიკითხა შესახებ ქაღალდის ფულისა. ბერნაცკის მეტად სახიფათოდ მიაჩნია რუსეთის დღევანდელი ფინანსიური მდგომარეობა, როდესაც ქაღალდის ფულს ფასი მეტად დაეცა და მოხდა ფაქტიური დევალიუცია. მომხსენებელი ერთად ერთ იმედს რუსეთის ეკონომიურ ძალთა აღორძინებაზე ამყარებს და ამისთვის შესაფერს ეკონომიურ პოლიტიკის შემუშავებას და წარმოებას მოითხოვს.

# მამულების შეძენა

დიდად პატივცემულო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 27 იანვრის ნომერში, მეთაურ წერილში, წავიკითხეთ მოწოდება, რომ შუაგულ კახეთში მამული იყიდება და სხვა ერის ხალხი იძენსო. ჩვენს სწუხარებას საზღვარი არა აქვს. ნუ თუ არ გვეყო ამოდენა დაუდევრობა! კმარა სიბრმავე! ჩვენს დაღუპვას ჩვენის თვალით ვუცქერით და შველა არსაიდან არის და არც იქნება. ისევ ჩვენ თუ არ ვეცადნეთ, ჩვენვე დავინარჩუნოთ, ნუ თუ მთელ საქართველოში არ მოიპოვება ასი კაცი გულ-შემატკივარი, რომ შეადგინონ ამხანაგობა და შეიძინონ მოხსენებული მამული? დღეს ყველას ფული ეშოვება და უმამულო კი ბევრ-

ამაზედ ქვევით უფრო გარკვევით მოგახსენებთ, სადაც ჩვენს ზნე-ჩვეულებაზედ მექნება ლაპარაკი, ჯერ კი გაკვრით შევეხოთ მას.

ასე რომ, ეჭვს გარეშეა, ღმერთი, როგორც ჩვენთვის, ქართველ ისრაელებისათვის, ისე რუს-ამერიკის ებრაელობისათვის ერთია, ხოლო ამ ღვთის სამსახურისათვის ჩვენ სხვა და სხვა საშუალებანი და ფორმანი ამოგვირჩევია, როგორც ფორმათა სხვადასხვაობას ქრისტიანებშიც შევხვდებით. ქრისტიანია როგორც მართლმადიდებელი, ისე კათოლიკე, გრიგორიანი, ევანგელისტი და სხვ. გერმანელებში, მაგალითად, პროტესტანტებიცა და კათოლიკენიც არიან; პირველნი თუმცა სჭარბობენ მეორეთ, მაგრამ მცირე რიცხოვან კათოლიკეთ ისეთივე უფლება აქვთ გერმანელი უწოდონ თავიანთ თავს, როგორც მრავალრიცხოვან პროტესტანტებს, რადგანაც ერთსაც და მეორესაც ბევრი ისეთი ფაქტორები აქვთ საერთო, რომელთაც ვერავითარი სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა ვერ დაფარავს. აი სწორედ ეს ფაქტორები ქმნიან ეროვნულ ერთობას, თვითშემეცნებას. ჩვენ კი, ქართველ ისრაელებს, როდი გვიშლიდა ხელს ქართველ ეროვნებას ვეკუთვნოდეთ. ის გარემოება, რომ წმიდა სალოცავი ენა (თუმცა გაუგებარი, როგორც ლათინური ენა კათოლიკეთათვის), წმიდა მიწა (ჩვენთვის იერუსალიმი, კათოლიკეთათვის ლურდი), წმიდა თორა (მუსულმანებსაც აქვთ წმინდა ყურანი, არაბულ ენაზედ დაწერილი), წმინდა რელიგიური ადათები და სხვა რამეები გვქონია? მაშ აწიც როგორღა შეგვიშლის ხელს, როდესაც ცივილიზაციისა და პროგრესის საუკუნოში ვსცხოვრობთ? წავიდა უკვე ის დრო, როდესაც სასულიერო წოდების პირნი მეფობდნენ, დათარეშობდნენ ხალხთა სულსა და გულში. წავიდა ის დრო, როდესაც ხახამები და რაბინები ქურუმნიც იყვნენ, „მეცნიერებიც“, უზენაესი მსაჯულნიც და მეფეების უფლებებითაც აღჭურვილნი. ასპარეზი დაიცალა მათ მიერ და სალმა პრაქტიკულმა მიმართულებამ დაიჭირა იგი. ფანატიკოსები რომ არ ყოფილიყვნენ, შეიძლება არც ასეთი კაცთმოძულეობა გამეფებულიყო ქვეყნაზედ.

მაშ ასე, ჩვენ ქართველ ისრაელებს, ისიც სეფარადებს, რა საერთო უნდა გვქონდეს რუსის ებრაელებთან—აშქენაზებთან: არავითარი სრულებით. მაგალითისათვის შორს არ წავალთ. ქუთაისში რამოდენიმე ათეული რუსის ებრაელის ოჯახი სცხოვრობს (სხვათა შორის, ერთი მაგალითიც არ გვინახავს, რომ ქართველ ისრაელს რუსის ებრაელის ქალი შეერთოს, ან გაეთხოვებიოს მათზე ქუთაისში), რომელთაც არავითარი დამოკიდებულება ჩვენთან არა აქვთ; არაფერს ვიტყვით კულტურულ, ეკონომიურ თუ პოლიტიკურ დამოკიდებულებაზედ. ეს, ცხადია, არ არსებობს. ასე განსაჯეთ, სარწმუნოებრივი დამოკიდებულებაც კი არ არსებობს ჩვენს შორის. მათ საკუთარი სალოცავი აქვთ, ჩვენ კი ჩვენი. ისინი თავისებურად ლოცულობენ, ჩვენ კი ჩვენებურად. კავშირი კი არა და, საშინელი შური და მტრობაც კი არის ჩამოვარდნილი ჩვენსა და მათს შორის. აი სად ინახება ფსიხოლოგიური სხვა და სხვაობა, სულიერი განსხვავება, ხასიათთა სხვაგვარობა! ჩვენ მათ ვერ ვიცნობთ და ისინი კიდევ ჩვენა. ამნაირად, თუ კი ახლო მცხოვრებ რუსის ებრაელებთან ვერ შევკავშირებულვართ, როგორ გნებავთ, რომ გადამთიელებთან ძმობა-ერთობა ჩამოაგდოთ! ასეთი ყოველგვარი სარწმუნოებრივი განსხვავება არა თუ ქუთაისში, არამედ სხვაგანაც არსებობს; ბაქოშიაც კი, თქვენ წარმოიდგინეთ, იმისდა მიუხედავათ, რომ 20—30-ზე მეტი ქართველი ისრაელი არ მოიპოება, მაინც განცალკევებული სალოცავი ჰქონიათ ქართველ ისრაელებს და არ ეკარებიან რუსის ებრაელებს.

ახლა თავის თავად იბადება ის კითხვა, თუ რით უნდა აიხსნას ეს მოვლენა? მიზეზი აქ იგივეა, ჩემის აზრით, ე. ი. როგორც სარწმუნოებრივი, ისე ეროვნული სრული და არსებით განსხვავება ჩვენსა და ებრაელებს შორის. ნუ ჰგონია ბევრს, რომ ეს ჩვენი კულტურულად ჩამორჩენის ნიშანი იყოს. არა. ჩვენში ცოტაოდენი გაკულტურებული ნაწილიც მოიპოება, მაგრამ ვერც გაკულტურებას უშველნია და განხეთქილება მაინც განხეთქილებად დარჩენილა, მიუკარებლობა მიუკარებლობად და შეუთვისებლობა შეუთვისებლობად. რასაკვირველია, აქ ვერ ვიგულისხმებთ ისეთ ფაქტს, რომელიც სარეკლამოდა და სადემონსტრაციოდ იქნება ჩადენილი. ამნაირად, ფაქტები თავის თავად ლაპარაკობენ და ვერც ბაზოვის ერთად ერთს იარაღს—რელიგიას ვერ გაუჭრია-რა.

**ი. ხ—შვილი.**

(შემდეგი იქნება)

ნი ვართ. მზათა ვართ ჩვენი უკანასკნელი გროში შევიტანოთ სადაც და ვისთანაც იქნება გამოცხადებული.

პირველ გამოცხადებისთანვე სამი კაცი შემოვიტანთ რაც სამოცის დესეტინის ღირებულება იქნება. ჩვენისთანა მსურველი ბევრი იქნება და უფრო ადვილათაც შევძლებთ სყიდვას. მოლაპარაკება და საქმის მოწესრიგება, იმედია, ისე არ ვართ დაკარგულნი, რომ არვინ იდოს თავს.

ველით მოუთმენლათ განცხადებას: **ვასილი დიმიტრის ძე ექვთიმიშვილი, ეფრემ მაქსიმეს ძე ჩხეიძე, ევგენი ლავრენტის ძე ქარუმიძე და ალექსანდრე სიმონის ძე მაჩაბელი — ერთ წილში.**

კავკასიის ფრონტი. („სახ. ფ.")

## სულეიმან-ეფენდი გოგიტიძის ხსოვნას

„საქართველომ" არა სასიამოვნო ამბავი გვამცნო. სოფ. ლელვაში გარდაცვლილა ქართველი მაჰმადიანი, ახალგაზდა სულეიმან-ეფენდი გოგიტიძე. ჭეშმარიტათ, რომ დიდათ სამწუხაროა ასეთ ადამიანის სიკვდილი. უიმისობა უფრორე დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს ლელვას საზოგადოებისათვის. ასეთნი ახალგაზდანი უნდა ემატებოდენ და არ კი აკლდებოდენ ჩვენს ძმძმე მაჰმადიან ქართველობას. სულეიმან-ეფენდი ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელსაც გული შესტკიოდა თავის თანამოძმეთათვის და ცდილობდა მათს კეთილდღეობას. მისი გულითადი სურვილი იყო როგორმე მოეხერხებინა და სოფ. ლელვაში დაეარსებინა სკოლა. განსვენებულს კარგათ ჰქონდა გათვალისწინებული, რომ მარტო ლაპარაკით შორს ვერ წავიდოდა კაცი და დიდი არაფერი გაკეთდებოდა. როდესაც შეხვდებოდა, მეტყოდა ხოლმე: დიდი სურვილი მაქვს სკოლა დავაარსო და კარგი, ხალხისთვის გულშემატკივარი მასწავლებელი ვიშოვნოვო. თხოვნა უკვე გაგზავნილი მაქვს, თუ შემიწყნარესო. ძალიან გახარებული იყო, როდესაც მეზობელ სოფელ ალამბირში დაარსდეს სკოლა. მასაც დიდი იმედი ჰქონდა, არც ჩვენ დაგვტოვებენ უსკოლოდაო. აგვისტოს რიცხვებში ვნახე განსვენებული ბათომში დასუსტებული და გამხდარი. მაშინ მითხრა: ეხლა ქალაქში მივდივარ, ეგები რასმე გავხდე და სტქტემბრიდგან გაგვიხსნან შკოლაო. ქობულეთამდე ერთათ ვიმგზავრეთ. გზაში მიამბო, თუ რამდენი დაბრკოლებები ეღობებოდა წინ, მაგრამ ის მაინც არ კარგვიდა იმედს და სწამდა, სამ-ოთხ წელიწადში ყველანი გაიმსჭვალებიან სწავლის სიყვარულითაო, განსვენებულს არ დასცალდა. ულმობელმა სენმა (ჭლექმა) სიცოცხლე მოუსწრაფა და გამოასალმა წუთის სოფელს.

მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, მას არ დაივიწყებენ მოძმენი, მის დაწყებულ საქმის დაბოლოებას შესძლებენ და ივლიან იმ გზით, რა გზითაც განსვენებული მიდიოდა. არც ქართველი საზოგადოება დასტოვებს უყურადღებოთ ლელვას საზოგადოებას, საცა ორასი კომლია, და შეისმენს მისს თხოვნას. განისვენე, კეთილო და პატიოსანო ადამიანო, უკვდავი იყოს შენი სახელი. უერთებ ჩემს მწუხარებას შენთა მშობელთა და მოკეთეთა მწუხარებასა.

**მარიამ კალანდაძე.**

## ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა საყურადღებოდ*)

ეხლანდელ დროში ყოველ ხალხის კეთილდღეობა და პოლიტიკური ჯანმრთელობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მისი საეკონომიო და სამრეწველო მასშტაბი უდრის საამდროისო ევროპულ მასშტაბს... ჩვენი ქვეყანა, მრავალ მიზეზის ზეგავლენით, ძლიერ ჩამორჩენილია ამ მხრივ არა თუ ევროპას, რუსეთსაც კი. ეს მოვლენა არსებობს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხარე ავსებულია ყოველგვარ ბუნებრივ სიმდიდრით და იმყოფება მშვენიერ გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში.

ამასთანავე, ჩვენი ხალხი არა თუ არ არის მოცული ეგრედწოდებულ „აღმოსავლეთურ სიზარმაცით", არამედ ხშირად მოსაწონ ენერგიას იჩენს. ეს ენერგია ამ უკანასკნელ წლებში ბევრჯელ დამტკიცდა, როგორც ეკონომიურ, ისე საზოგადოებრიულ სფეროებში.

ამ დიადმა ომმა და მთელის ქვეყნიერობის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა შერყევამ ისეთი ძალები გააღვიძა რუსეთში, რომ ადვილად მოსალოდნელია ახლო მომავალში ჩვენის მხარის სამრეწველო გაღვიძება და აუშავებაც.

როგორ უნდა დავხვდეთ ამ მოვლენას ჩვენ, ქართველები? რა ზომები უნდა მივიღოთ, რომ მრეწველობა ჩვენს მხარეში, თუ სრულებით არა, უმეტესი ნაწილით მაინც, ჩვენისავე ხელით იქმნეს შემოტანილი?

რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა არის საჭირო მობილიზაცია საეკონომიო ძალებისა. ამ მხრივ ზოგიერთი ნაბიჯები გადადგმულია კიდევაც და ვიმედოვნებთ, რომ ამ ნაბიჯების შედეგი ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იქნება. მაგრამ ეკონომიური მობილიზაცია საკმარისი არ არის, საჭიროა მასთანვე ტეხნიკურ ძალების თანადარაზმვა, საკუთარ ტეხნიკურ ძალების თანამშრომლობა. აი ეს არის სუსტი ადგილი ჩვენის ნაციონალურ ცხოვრებისა.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ქართველ ინჟენერთა და საერთოდ ტეხნიკოსთა რიცხვი ეხლა გვარიანი დიდი უნდა იყოს. ამიტომ ჩვენი სატეხნიკო ძალების შესაკრებათ და მათის უნარისა და სწავლის გამოსაყენებლათ სამშობლოსათვის საჭირო არის მათი შეერთება ქართულ სატეხნიკო საზოგადოების დაარსებით.

ამისათვის მივმართავთ თხოვნით ყველა ქართველ ინჟენერს და ტეხნიკოსს გამოსთქვან თავიანთი აზრი სატეხნიკო საზოგადოების შექმნის შესახებ. დარწმუნებულები ვართ, რომ ყველანი ამ ჩვენს მოწოდებას თანაგრძნობით შეხვდებიან, რადგანაც ჩვენის ცხოვრების სინამდვილისა ყველა მხრიდან გამოსჭვივის საჭიროება სატეხნიკო სწავლისა და ცოდნისა. არც მოცდის დროა, თუ გვსურს, რომ ჩვენის ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე-ბარაქა დარჩეს ჩვენისავე ხალხის ხელში და არ გაიტაცონ უცხოელებმა. ნაყოფი და შედეგი სატეხნიკო საზოგადოების დაარსებისა, აღურაცხავია და ძნელად წარმოსადგენია ეხლა.

პირველ ხანებში შეგვეძლება ჟურნალის და წიგნების გამოცემით, ერთმანეთის გაცნობით და დაახლოებით მრავალ სიკეთის მოტანა.—გარდა ამისა, შესაძლო იქნება (და აუცილებელ საჭიროებასაც წარმოადგენს) საკონსულტაციო ბიუროს დაარსება, სადაც ყოველი მეურნე და მრეწველი გაიგებს და გაირკვევს საჭირო სატეხნიკო საკითხს.

იმედი გვაქვს, რომ სატეხნიკო საზოგადოების დაარსებისთვის ჩვენს დედა ქალაქში მცხოვრები ქართველი ინჟენერები გამოიჩენენ მზრუნველობას და ინიციატივას, და შეადგენენ იმ დვრიტას, ურომლისოდ შეუძლებელია საქმის აყვავება. ყველა ქართველ ინჟენერთა და ტეხნიკოსთა თანაგრძნობა და თანამშრომლობა, დარწმუნებული ვართ, უზრუნველყოფილი იქნება.

თუ აღმოჩნდა საკმაო რიცხვი მსურველთა და თანამგრძნობთა, ახლომომავალში საჭირო შეიქნება გამართვა თბილისში ქართველ სატეხნიკო კრებისა, რომელზედაც უნდა იქმნეს შემუშავებული მომავალ საზოგადოების ძირითადი დებულებანი და მისი წესდება.

ინჟენერ-ტეხნოლოგი ბესარიონ ჭიჭინაძე, გზათა ინჟენერი რაჟდენ კაკუბავა, კანდ. ინჟენერი იოანე ბერიძე, ინჟენერ-ტეხნოლოგი გრიგოლ აბაშიძე და სერგო ჯაფარიძე.

*) ეს წერილი გუშინწინ მოგვივიდა. თუმცა „სახ. ფ."-აც დაიბეჭდა, მაგრამ საყურადღებოდ ვსთვლით „საქართველოს" მკითხველთათვისაც და ვბეჭდავთ. **რედ.**

## დაბა-სოფლები

**ს. რცხილათი** (შორ. მაზრა). ნეტა თუ სადმე მოიპოვება ისე მიყრუებული და ღვთის ანაბარად მიგდებული სოფელი, როგორიც არის რცხილათი. ეს სოფელი გაშენებულია მთა-გორიან ადგილზე, გარშემო სულ მთლად მთებით არის შემოზღუდული. ძველების გადმოცემით, თურმე აქ წინეთ ცხოვრობდენ ბერები. მართლაც რომ საბერო ადგილია! მთებისა და ტყის მეტს სხვას ვერაფერსა ხედავს აქ მოსული კაცი.

ჯერ ხომ ადგილის მდებარეობით დასჯილია ეს სოფელი და ამას ისიც უნდა მიუმატოთ, რომ სხვა სოფლებთან შედარებით ეს სოფელი მეტად ჩამორჩენილია, როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურადაც. მიწა მეტად მწირია და მოსავალს ცოტას იძლევა. თუ შენ ძალღონეს გადაალევ, იქნებ მოიყვანო რამე ნახევარ წლის სარჩო საზადებელი. აქ არ არსებობს არაფერი კულტურული დაწესებულება. იყო ამ ექვს-შვიდის წლის წინად ერთი ღარიბული სამრევლო სკოლა, მაგრამ მალე იქმნა მიკეტილი. ხალხი მეტად დაუდევარია და დაუდევრობით ბევრიც აკლდებათ. დაკლება არ არის, რომ ასში დიდმა და პატარამ ათმა არ იცის ხელის მოწერა. მიდის ბრძოლის ველზე საწყალი სალდათი და ორიოდე სიტყვას მოწერასაც ვერ ახერხებს, რომ მისწეროს მშობლებს და თავის გაჭირვება თუ დალხინება გააგებინონ?

ერთ კვირა-უქმე დღეს ადგილობრივმა მღვდელმა სპ. გ—ძემ ხალხს წინადადება მისცა, მივბაძოთ სხვა სოფლებს და ჩვენც დავაარსოთ ერთი სამრევლო სკოლა და იქნება გავიგოთ ჩვენც ავისა და კარგის რამეო. ხალხი მღვდლის სიტყვებს მეტად სიხარულით შეხვდა და შეჰპირდა საჭირო ხარჯის გაღებას. ამოირჩიეს კომიტეტი, რომელიც, იმედია, ამ საქმეს თავს გამოაბამს.

უგზოობითაც დიდ გაჭირვებას განიცდის ჩვენი სოფელი. თან ყვავილი გაჩნდა და დიდად დააზარალა ხალხი.

**აპოშვილი.**

—

**ს. ჭუბაანი** (სიღნაღის მ.). ამა თვის 18-ს მამა-პაპეულ ჩვეულებისამებრ სოფ. ჭუბაანელები, რიცხვით 200 კაცამდის, გაემგზავრნენ მინდვრად, რომ თაყვანი ეცათ წ-და ნაშთისათვის, რომელსაც ვეძახით „წმინდა თეოდორეს". ეს ადგილი ხუთ ვერსტზეა ს. ჭუბაანიდგან. შემდეგ პარაკლისის და ვედრების ასრულებისა, შეუდგნენ პურის ჭამას. ყველას თავისი ჰქონდა თან შეჭამანდი და სასმელადი. ყველა ჩვენგანს გული დაღონებული ჰქონდა ომში წასულ შვილისა, მამისა თუ მეგობარ-ნათესავისაგან, მაგრამ ამ დროს მწერალმა გიორგი ბერიაშვილმა მიჰმართა ხალხს გრძნობიერი სიტყვით შესახებ ომში გაწვეულთა ოჯახთა გაჭირვებისა და სხვათა შორის, მოიხსენია გულ-საკლავი მდგომარეობა ომში ახალ გაწვეულის ქიტესა ჭუჭულაშვილის ქვრივ-ობოლთა და მისი ცოლშვილის უნუგეშოდ დატოვება. მოუწოდა ამხანაგებს—სუფრაზე მსხდომთ, სურვილისამებრ გამოეღოთ თვისი წვლილი ქიტესას ოჯახის შესაწირავად. ამას დაერთო ადგილობრივი მღვდლის ი. შან—შვილის შემდეგი სიტყვა: ქართველს სამი კარგი თვისება ჰქონდა და აქვს: სიმტკიცე სარწმუნოებისა, რასაც დღესაც ვამტკიცებთ ამ წ-და ნაშთის წინაშე, გმირობა და შეწყნარება-შებრალება, როგორც თვისი მეზობლის, ისე უცხოსი. სარწმუნოებამ გმირად გაჰხადა ქართველი, გმირობამ თავი შეაფარა და ქველ-მოქმედობაზე და თავის თავის ცნობაზე გადავიდა ქართველიო. მსმენელნი აღტაცებით მიეგებნენ ყველა ამას და ქიტესას ოჯახს შესწირეს 43 მანეთი. ამავე მწერალს ბერიაშვილს წინათ შექუჩებული ჰქონდა ამავე ოჯახისთვის 43 მან. და 10 კ. სულ 86 მან. და 10 კ. რაიც გადაეცა ქიტესა ჭუჭულაშვილის ოჯახს.

შემომწირველთა სია:

**ხუთ-ხუთი მანეთი:** გორგა სტეფანოვმა და გიორგი ალადაშვილმა; **სამ-სამი მანეთი:** ფიფო ალადაშვილმა, იორდანე ალადაშვილმა, შალვა ალადაშვილმა, რაჟდენ კიკილაშვილმა, მიხო მატიაშვილმა, შაქრო აბულაშვილმა, ლიმონა ზედალაშვილმა, ეფრემ პოლოსოვმა, კოტე ალადაშვილმა, სოსია ბოდალაშვილმა, მღვდ. ილია შანშიაშვილმა, მწერალმა გიორგი ბერიაშვილმა, ნიკა მატიაშვილმა, მოსე ბოდაშვილმა; **ორ-ორი მან.:** ნიკა ბექაშვილმა, ლუა ნარინდოშვილმა, მოსე ალადაშვილმა; **მანეთი და ათ-ათი შაური:** ისაკო ალადაშვილმა, ვასილა აბულაშვილმა, ბორა კიკილაშვილმა; **თითო მანეთი:** მოსე ქართლელიშვილმა, ზაქარია ნარინდოშვილმა, ზაქარია ალადაშვილმა, ქარუმა ქურციკიძემ, დათა ალადაშვილმა, სიკო კიკილაშვილმა, ზაქარია ალადაშვილმა, შაქრო კიკილაშვილმა, აბრაამ მატიაშვილმა, ბასიკო ელაშვილმა, გიგენა კიკილაშვილმა, თომა ბოლაშვილმა, ქარუმა აბულაშვილმა, სოსია წიქარაძემ, იოსებ მატიაშვილმა, ოსე ბატიშვილმა, შაქრო ქურციკიძემ, ლევანა ქურციკიძემ, ილა ქურციკიძემ; **60 კ.** ისაკო ზედალაშვილმა; **ათ-ათი შაური:** ელიკო აბულაშვილმა, გიგა მატიაშვილმა, მიხაკო ელაშვილმა, სიმონა ნარინდოშვილმა, ივანე მეზვრემ, დათა კიკილაშვილმა, გიორგი კიკილაშვილმა და ქიტა ზედელაშვილმა.

მღვდ. ი. შანშიაშვილი.

## წერილი რედ. მიმართ

დიდათ პატივცემულო ბ. რედაქტორო! საჭიროდ ვთვლი დიდი მადლობა მოვახსენო „საქართველო"-ს თანამოაზრეთა ერთს ჯგუფს იმ ნდობისთვის, რომელიც მან გამომიცხადა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრებაზე, გამგეობის წევრობაზე კანდიდატათ დასახელებით, როცა მე თბილისში არ ვიმყოფებოდი და არჩევნებისა არა ვიცოდი-რა. ამასთან გთხოვთ ნება მომცეთ მოგახსენოთ, რომ, მე რო დამკითხებოდა ხსენებული ჯგუფი, თანხმობას არ მივცემდი ჩემ კანდიდატათ დასახელებაზე ორნაირის მიზეზით: ჯერ ერთი, უფლება არა მქონდა არჩეულ ვყოფილვიყავ თბილისის განყოფილების გამგეობის წევრად, რადგან მე ჯერ არ გამომიცხადებია სურვილი ამ განყოფილებაში წევრად ჩაწერისა; მეორეც ის, რომ შეუძლებელი იყო ჩემი, უპარტიო ადამიანის, კანდიდატობა იქ, სადაც ორი პარტია თავის საკუთარის კანდიდატების ასარჩევად იბრძოდა.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი

**დ. კარიჭაშვილი.**

II

ამ გაჭირვებულ მდგომარეობის დროს საზოგადოთ ყველგან და აქაც თბილისში იჩინეს თავი ზოგიერთმა მაწანწალებმა, რომელნიც, სტუდენტების ტანისამოსით გამოწყობილნი, ეძღლებიან ისედაც გაჭირვებულ შეგირდობას და სთხოვენ დახმარებას. ამისთანა მაგალითი მოხდა ამ ბოლო ხანში ქ. თბილისში. ვინმე ყაზბეგი „სტუდენტი" დადის და მათხოვრობს, უცნობს, რასაკვირველია, ხელს უმართავენ, რითაც-კი შესაძლოა. ჯერი ჩემზედ მოდგა. ამ ვაჟბატონს ვიცნობ, კარგად ვიცი, რომ მას დახმარება არა სჭირია, ხშირად გვარსაც იცვლის. ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვ პატივცემულ საზოგადოებას ყურადღება მიაქციონ ამ შემთხვევას, გაფრთხილდნენ ამისთანა პირთაგან, რომელნიც არა მარტო თავიანთ გვარს არცხვენენ, არამედ მთელს ხევს შეურაცყოფას აყენებენ და ჩირქსა სცხებენ. იმედია, განსაკუთრებით მშობლები მიაქცევენ ყურადღებას ამ ვაჟბატონებს და შეაკავებენ ამ სამარცხვინო საქციელისაგან.

**გ. კარაშვილი.**

III

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „საქართველო"-ში ამ მცირე შენიშვნას. გაზეთ „საქართველო"-ს მე-29 ნომერში, ახალ ამბებში ამოვიკითხე ქვემო მაჩხაანიდან მოწერილი ამბავი. სხვათა შორის მოამბე სწერს: „იმ დროს, როდესაც წვრილ კრედიტებს და კოოპერატივებსაც-კი უჭირდებათ ფქვილის და ხორბლის მოტანა, ძმათა კორაშვილებმა რაღაც მანქანებით მოიტანეს ერთი ვაგონი ფქვილი და ფუთს შვიდ მანეთად ჰყიდიანო და თუ დროზედ არ აღლაგმა მათი საქციელი, იქნებ რვა მანეთადაც გახადონ ფუთიო".

მოწერილი ამბავი სიმართლეს მოკლებულია. ძმათა კორაშვილებს დაბადების დღიდან დღევანდლამდის ვაგონით ფქვილი არც მანქანებით მიუღიათ და არც უმანქანოთ.

ძმათა კორაშვილების მონდობილობით **ნიკო კორაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ხარიტონ შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9 20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 | „ დილ. |

**ტფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6 24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.
საყმაწვილო ნახატებიან-ჟურნალზე
ოცდა-მერვე წელიწადი „ჯეჯილი" ოცდა-მერვე წელიწადი
ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ.
გამოვა 1917 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის. ჟურნალი „ჯეჯილი" თბილისში ღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 მ., ნახევარი წლ. 3 მან., (ცალკე ნომერი 40 კაპ. რედაქციაში იხყიდება ყველა 27 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები. ფასი რედაქციას არ მოუმატებია. ხელის მოწერა მიიღება თბილისში—„რედაქციაში (არტილერიის ქ. „№ 5).
ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Ред. Груз. дѣтскаго журнала „Джеджили"
რედაქტორ-გამომცემელი ანასტ. თუმანიშვილი-წერეთლისა.

„სავაჭრო სახლი" (საწყობი)
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
ისყიდება პარტიებით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშივკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.
(101—წ.)

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
წელიწადი მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსავლელი დავითის ქ. № 2.
დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—17)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის
იუმორისტულ ჟურნალ
„ეშმაკის მათრახ"-ზე
ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს. (უ.)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშონი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სუსუნატით (ჰონორეა)
ავადმყოფებს,
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?
იმიტომ, რომ,
ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.
მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „ურიტალი". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ
ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისათვის საჭირდება ექვსი ფლაკონი და ძველებული ათი ფლაკონი სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.
За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.



სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4